დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დასკვნის თარიღი
12.06.2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 12

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 12

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 27

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 36

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 41

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 54

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	220407888
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ქეთევან აფთარაშვილი,** შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ხათუნა დოლიძე,** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ნინო ჯიჯავაძე,** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ქრისტინე ჩიხლაძე,** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ანა ჭრელაშვილი,** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	სკოლამდელი განათლება
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Preschool Education
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სკოლამდელი განათლების ბაკალავრი Bachelor of Preschool Education
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება 0112 Training for Preschool Teachers 0112
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]**

სსიპ ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი განათლება“ შემუშავებას წინ უძღოდა UNICEF-ისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით სკოლამდელი განათლების მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებში (სეზონური სკოლები, კონფერენცია, ვორკშოპი და ა.შ.) დაწესებულების წარმომადგენლების ჩართულობა, ასევე შრომის ბაზრის კვლევის ჩატარება; თვითშეფასების თანახმად, პროგრამის შემუშავებისას დაწესებულებამ გაიზიარა ესტონეთის, პოლონეთისა და ბელგიის გამოცდილებები; ამასთანავე, დაწესებულებას გააჩნია 2015 წლიდან ბაგა-ბაღის აღმზრდელ პედაგოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და (მოდულური) 2020 წლიდან სკოლამდელი აღზრდის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების გამოცდილება;

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი განათლება“ **მიზანია:**

- *„გააცნოს სტუდენტს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში არსებული სამართლებრივი და ნორმატიული აქტები, ბავშვის განვითარების კანონზომიერებები.*
- ***მისცეს მას ფართო ცოდნა** ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის პრინციპების, ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროში მსოფლიოში არსებული კურიკულუმების შესახებ.*
- ***განუვითაროს** მას მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით ბავშვის ჰოლისტურ განვითარებაზე **ზრუნვის**, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო **პროცესის წარმართვის,** ბავშვისა და საკუთარი პრაქტიკის **შეფასების**, ბავშვებთან, მშობლებთან, თემთან, ბავშვზე ზრუნვაში ჩართულ სხვა სერვისების წარმომადგენლებთან, დაწყებითი განათლების მასწავლებლებთან **პოზიტიური კომუნიკაციის უნარები’***
- *მოამზადოს მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, დემოკრატიული ღირებულებებისა და პრინციპების მატარებელი, ბავშვთა უფლებების დაცვაზე, სკოლამდელი განათლების მნიშვნელობასა და ინკლუზიურობის პოპულარიზაციაზე, უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული, სკოლამდელი (ადრეული) განათლების სპეციალისტები, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში სპეციალისტების დეფიციტის აღმოფხვრასა და შევსებას”.*

პროგრამის მიზნები ეფუძნება სსიპ - ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისიასა და მიზნებს, სტრატეგიული განვითარების გეგმას, სკოლამდელი განათლების სფეროს სპეციფიკას, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დამსაქმებლის მოსაზრებებს/რეკომენდაციებს;

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

სკოლამდელი განათლების პროგრამა არის ახალი და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის (აკადემიური, მოწვეული, სამეცნიერო) რაოდენობა ჯამში შეადგენს 30-ს;

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 21 თებერვლის ბრძანების #203001 შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2023 წლის 5 და 6 აპრილს განხორციელდა ვიზიტი სსიპ ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, ქ. ზუგდიდში „სკოლამდელი განათლების'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით;

ვიზიტი წარიმართა აკადემიურ გარემოში, შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით განხორციელდა დაგეგმილი ყველა შეხვედრა; კერძოდ ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, (რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს), ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის თანახელმძღაველსა და კონსულტანტს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს. გადამოწმდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და გამოთხოვილ იქნა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელთა მოწოდებაც დაწესებულებამ დროულად უზრუნველყო; ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას გააცნო პროგრამის შესახებ ადგილზე ვიზიტის ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები/მიგნებები;

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტებთან.

- **რეკომენდაციები**
  - **სტანდარტი 1**

1.1. რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის მიზნების ფორმულირება, რომ იყოს შედარებით უფრო ფართო და არა ვიწრო, ორიენტირებული სპეციფიურ დარგობრივ საკითხებსა და უნარებზე.

1.2. რეკომენდებულია, პროგრამის შედეგები სრულად მოვიდეს შესაბამისობაში დარგობრივ მახასიათებელთან, კერძოდ როგორიცაა პრაქტიკის კვლევის განხორციელების კომპეტენცია, მულტილინგვური სწავლება და ა.შ.

1.3. რეკომენდებულია გადაიხედოს კურსების თანმიმდევრობა, კურსებზე დაშვების წინაპირობა, რათა მაქსიმალური იყოს კურსებს შორის ლოგიკური კავშირები.

1.4. გადაიხედოს სილაბუსები და მოვიდეს შესაბამისობაში კურსის სწავლის შედეგებთან. მიზნები და თემატიკა, ზოგიერთ სილაბუსში არ მოდის თანხვედრაში მიზნები თემატიკასთან; ასევე, არის რიგი სილაბუსი, რომლის შინაარსიც არ შეესაბამება პროგრამის მიზანს და შედეგებს.

1.5. გადაიხედოს სასწავლო რესურსები და ლიტერატურა, კერძოდ, ლოგიკურად დაუკავშირდეს კურსის თემატიკას, რიგი სილაბუსების შემთხვევაში მიეთითოს ლიტერატურა და შეირჩეს სწორად, რათა უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა.

- **სტანდარტი 2**

2.1. რეკომენდებულია, პედაგოგების მიერ სწავლების პროცესში გამოყენებულ იქნას სილაბუსით განსაზღვრული ის მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას

2.2. რეკომენდებულია, პროგრამით გათვალისწინებულ იქნას ისეთი სავალდებულო კურსის სწავლება, რომელიც სტუდენტს გამოუმუშავებს პედაგოგიური კვლევის მეთოდებისა და პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დაგეგმვა-განხორციელებისთვის შესაბამის ცოდნასა და უნარებს

2.3. რეკომენდებულია, სკოლამდელი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად, სწავლება-სწავლის მეთოდებიდან გამოყენებულ იქნას პრაქტიკის კვლევა, ქოუჩინგი;

2.4. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის სილაბუსში წარმოდგენილი შეფასების სისტემა სრულად მოვიდეს შესაბამისობაში მოვიდეს მოქმედ კანონმდებლობასთან

2.5. რეკომენდებულია, შეფასების მეთოდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსებობის შემთხვევაში მისი გადალახვის სავალდებულოების შესახებ მოხდეს შესაბამისი სამიზნე ჯგუფების (სტუდენტები, პროგრამის განმახორციელებლები) ინფორმირება და მისი შესრულების კონტროლი;

2.6. რეკომენდებულია, ჩამოყალიბებულ იქნას სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებული მკაფიო კრიტერიუმები, რათა მიღწეულ იქნას შეფასების ობიექტურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა და სწავლის შედეგების მიღწევის გაზომვადობა;

2.7. რეკომენდებულია, ინსტიტუციამ გაზარდოს სტუდენტთა ინფორმირება მიღებული შეფასების აპელაციის წესისა და პროცედურების შესახებ.

3. სტანდარტი 3

3.1. საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობის მაჩვენებლის გასაზრდელად, მიზანშეწონილი იქნება თანამშრომელთა პრაქტიკული გადამზადება, საინფორმაციო შეხვედრების დაგეგმვა სტუდენტებთან.

სტანდარტი 4

4.1. გაძლიერდეს პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში, განხორციელებასა და მონიტორინგის პროცესში;

4.2. ცხადად გაიწეროს პროგრამის თანახელმძღვანელის ფუნქციები და ვალდებულებები და გაიმიჯნოს ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის ფუნქციები;

4.3. ფუნქცია-მოვალეობების ეფექტურად შესასრულებლად, შემუშავდეს მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;

4.4. რეკომენდირებულია, გუნდის გაძლიერება ადრეული განათლების მიმართულებით კვალიფიციური პერსონალით, რომელთა როგორც სამეცნიერო, ასევე უშუალო სამუშაო გამოცდილება პირდაპირ უკავშირდება ადრეული განათლების სფეროს.

4.5. დაიგეგმოს ღონისძიებები პროგრამის განმახორციელებელი როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალის ადრეული განათლების მიმართულებით კომპეტენციების გაძლიერებისა და მხარდაჭერის მიზნით;

4.6. გაძლიერდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ადრეული განათლების მიმართულებით საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში დაბეჭდვის მიზნით.

4.7. გადამოწმდეს და უზრუნველყოფილი იქნას ყველა კურსის ძირითადი ლიტერატურის არსებობა ბიბლიოთეკაში

სტანდარტი 5

5.1. რეკომენდებულია, გაიზარდოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების პროცესის დაგეგმვის, რელევანტური შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასებების განხორციელების პროცესში.

5.2. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ტრენინგებისა თუ სამუშაო შეხვედრების ფორმატში უზრუნველყოს პროგრამის თანახელმძღვანელისთვის (ასევე, კონსულტანტისთვის) პროგრამის მართვასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება (გააცნოს უნივერსიტეტში დანერგილი

ძირითადი მიდგომები, პრინციპები, უფლება-მოვალეობების) და მოამზადოს მმართველი გუნდი მათზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულებისთვის.

5.3. რეკომენდებულია, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი აქტიურად ჩაერთოს პროგრამის თვითშეფასების პროცესის დაგეგმვის, შესაბამისი მონაცემების შეგროვება-გაანალიზებისა და მიღებული შედეგების საფუძველზე თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში.

5.4. რეკომენდებულია, პროგრამის შეფასება დარგის უცხოელი ექსპერტის მიერ, რაც ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს პროგრამაში ინტერნაციონალიზაციის კომპონენტების ზრდას (განსაკუთრებით კურიკულუმის დონეზე), ხოლო მეორე მხრივ, დაეხმარება დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამა დაუახლოვოს გლობალური შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

5.5. რეკომენდებულია, „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ საუნივერსიტეტო რეგულაციის მოთხოვნების შესაბამისად, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდეს უცხოური ანალოგი პროგრამების შესწავლა და დადარება წარმოდგენილ საბაკალავრო პროგრამასთან.

5.6. რეკომენდებულია, გაიზარდოს კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში, რაც შესაძლებელია განხორციელდეს როგორც სისტემური და სისტემატიური კვლევებით, ისე მათი პროგრამის სამუშაო ჯგუფში ჩართულობით.

6. რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სტანდარტი 1

-

სტანდარტი 2

2.1. ხელი შეუწყეთ (პერსონალის ტრენინგები, დაკვირვება ლექციებსა და სწავლების მეთოდებზე) სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი და ინტერაქციული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებას;

2.2. სასურველია, პრაქტიკის მენტორთა შერჩევა მოხდეს ზსსუ-ს მიერ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე და პრაქტიკის ეფექტიანად განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების თანამონაწილეობით;

2.3. სასურველია, პრაქტიკის კომპონენტის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, ინტენსიურად გაგრძელდეს პრაქტიკის მენტორთა გადამზადების პროცესი

სტანდარტი 3

3.1. თვითშეფასების ჯგუფში, გარდა პროფესიული განათლების პროგრამისა, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართვა და პროცესში ჩართულობა წევრის ამპლუაში მუშაობაც განმავითარებელი შედეგის მომტანი იქნება პროგრამისთვის.

3.2. საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში სტუდენტთა ჩართვისა და აქტიურობის მიზნით, საჭიროა, დამატებითი ღონისძიებების ორგანიზება, სტუდენტთა ინფორმირება და წახალისება.

სტანდარტი 4

-

სტანდარტი 5

5.1. სასურველია, გარე შემფასებელს წვდომა ჰქონდეს პროგრამის სრულ პაკეტზე (პროგრამის აღწერილობა, სასწავლო კურსები, განმახორციელებელი პერსონალის CV-ები და ა.შ.), რათა დასკვნაში მოხდეს პროგრამის ყველა ძირითადი და მნიშვნელოვანი კომპონენტის გაანალიზება და შეფასება.

5.2. სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააძლიეროს შიდასაუნივერსიტეტო სააკრედიტაციო პროცესების მონიტორინგის სისტემა, რათა უზრუნველყოს სხვადასხვა დოზე სააკრედიტაციო პროცესის მართვასთან ერთად თვითშეფასების ანგარიშისა და საგანმანათლებლო პროგრამის დანართი დოკუმენტების გამართულობა.

7. საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]

უნივერსიტეტი იმ სტუდენტებს, რომლებიც ადრეული ასაკის ბავშვების მშობლები არიან სთავაზობს სპეციფიურად მოწყობილ ფიზიკურ გარემოს, სადაც სტუდენტ მშობლებს შეუძლიათ ლექციების პერიოდში ბავშვის დატოვება ამ მიზნით სპეციალურად მიმაგრებულ თანამშრომელთან. აღნიშნული სივრცის უნივერსიტეტის ფარგლებში არსებობა უნივერსიტეტის მხრიდან წარმატებულ პრაქტიკად არის განხილული ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

8. ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა 2023 წლის 29 მაისის წერილით №611054 წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით;

დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციიდან ჩანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია: ,, რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის მიზნების ფორმულირება, რომ იყოს შედარებით უფრო ფართო და არა ვიწრო, ორიენტირებული სპეციფიურ დარგობრივ საკითხებსა და უნარებზე'', შესრულებულ იქნა; ასევე, ექსპერტთა მიერ გაცემული იმ რეკომენდაციების შესაბამისად, რომელებიც შეეხებოდა პროგრამის შედეგების დარგობრივი მახასიათებლებთან შესაბამისობაში მოყვანასა და კურსზე დაშვების წინაპირობებს, დაწესებულების მიერ გაზიარებულ იქნა და პროგრამაში ასახა შესაბამისი ცვლილებები. თუმცა რაც შეეხება კურსს - ,,მუსიკა და ვიზუალური ხელოვნება'', იგი არ მოიცავს თუ როგორ შეიძლება ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნების ინტეგრირება

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

სკოლამდელი განათლების პრაქტიკაში, რა როლი აქვს ასეთ გამოცდილებებში მონაწილეობას ბავშვის განვითარებაში და ა.შ. ასევე, დაწესებულების განმარტებით, ,,საგანი ადრეული განათლების საფუძვლები მოიცავს თემას მშობლებთან თანამშრომლობის შესახებ'', თუმცა აღნიშნულ კურსში დათმობილი ერთი საათი მშობელთან თანამშრომლობის მნიშვნელობაზე, ვერ გაიყვანს სტუდენტებს შედეგზე. ასევე, კურსი ,,დაკვირვება და შეფასება ადრეულ განათლებაში" უფრო მეტად პედაგოგიურ დაკვირვებას და არაფორმალურ შეფასებას უნდა ეხებოდეს და არა კვლევის მეთოდებს, როგორიცაა ლონგიტუდინური მიდგომა და კროსსექციული მიდგომა. ასევე ეს კურსი არ უნდა ეხებოდეს კლინიკური შეფასების მეთოდებს. რაც ასევე აღსანიშნია, ეს საკითხები არასისტემურად არის მოცემული და ძალიან ცოტა საკითხი ფარავს პედაგოგიურ შეფასებას.

გამომდინარე იქიდან, რომ რეკომენდაცია 2.1. შეეხებოდა განათლების მიმართულების სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებს და სკოლამდელი განათლების პროგრამა ჯერ ახალია, რეკომენდაცია პედაგოგის მიერ სილაბუსით განსაზღვრული მეთოდების გამოყენების შესახებ, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შესაძლოა გადატანილ იქნა რჩევაში; ამასთანავე, მე-2 სტანდარტში გაცემული რეკომენდაციები, რომლებიც შეეხებოდა სწავლა-სწავლების მეთოდებიდან ქოუჩინგის, პრაქტიკის კვლევის გამოყენებას, შეფასების სისტემის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, შეფასების კრიტერიუმების გაწერას, დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციიდან ჩანს, რომ გაზიარებულ იქნა და ასახულ იქნა ცვლილებები სილაბუსში, თუმცა დაწესებულებას არ წარმოუდგენია შეცვლილი სილაბუსები მტკიცებულების სახით; ასევე, დაწესებულების განმარტებით შეფასების უკუკავშირისთვის LMS-ში დაემატა ფუნქცია, თუმცა ექსპერტებს შესაბამისი მტკიცებულებები განხორციელებული ცვლილებების შესახებ, არ აქვთ; შეფასების მეთოდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსებობის შესახებ სტუდენტთა და განმახორციელებელი პერსონალის ინფორმირებას რაც შეეხება, მართალია დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციით LMS სისტემაში ხდება ინფორმაციის შეტანას მისასალმებელია, თუმცა არასაკმარისი ინფორმირებისთვის, რაც პედაგოგებთან და სტუდენტებთან ინტერვიუებმაც დაადასტურა;

მე-3 სტანდარტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციას რაც შეეხება, მნიშვნელოვანია დაწესებულებამ ინტენსიურად გააგრძელოს სტუდენტთა ინფორმირება, თუმცა რეკომენდაცია ასევე მოიცავს თანამშრომელთა გადამზადებასა და სამეცნიერო ბაზების გამოყენების სტატისტიკის საკითხებსაც;

მე-4 და მე-5 სტანდარტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციების უმრავლესობა დაწესებულების მიერ მისაღებია, ასევე პერსონალის დატვირთვასთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნა დაწესებულების მიერ პოზიცია, რომ შემუშავდა პერსონალის შეფასების ახალი წესი, რომლის მიხედვითაც 2022-23 სასწ. წლის გაზაფხულის სემესტრის დასასრულს განხორციელდა შეფასება, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს ამ მიმართულებით სხვა დამატებითი მტკიცებულებები/დოკუმენტი/არგუმენტები არ მიუღია.

9. ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

-

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად კვალიფიკაციის სირთულის მე-6 დონეს. პროგრამის დასრულების შემდგომ მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - ,,სკოლამდელი განათლების ბაკალავრი'', კვალიფიკაციის კოდი - 0112.

პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, რომლის თანახმად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ისწრაფვის ისეთი პროგრამების შემუშავებისკენ, რომელიც შეძლებს როგორც რეგიონის, ასევე ეროვნულ დონეზე შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი სკოლამდელი განათლების მიმართულებით იმ ფართო თეორიული ცოდნით და პრაქტიკაზე ორიენტირებული, ტრანსფერული უნარ-ჩვევებით, რაც აუცილებელია სკოლამდელი განათლების სფეროში.

პროგრამის მიზნები მოიცავს ადრეული ბავშვობის განათლების სამართლებრივ და ნორმატიულ ასპექტებს, ბავშვის განვითარებას, ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის პრინციპებს და უნარებს, რომლებიც აუცილებელია ბავშვების ჰოლისტური განვითარების უზრუნველსაყოფად.

პროგრამა ასევე ხაზს უსვამს პოზიტიური კომუნიკაციის უნარების განვითარებას ბავშვებთან, მშობლებთან და ადრეულ განათლებაში ჩართულ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რაც გადამწყვეტია ამ სფეროში ძლიერი ურთიერთობებისა და ეფექტური თანამშრომლობისთვის. დასაფასებელია, რომ აქცენტი კეთდება სამოქალაქო ცნობიერებისა და დემოკრატიული ღირებულებების განვითარებაზე, რადგან პროგრამის მიზნები ხაზს უსვამს ბავშვთა უფლებების დაცვის, ინკლუზიურობის ხელშეწყობასა და უწყვეტი პროფესიული

განვითარების მნიშვნელობას. პროგრამის მიზანია ასევე აღმოფხვრას სპეციალისტების დეფიციტი და ხელი შეუწყოს ადრეული განათლების სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას რეგიონში.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ჩამოთვლილი მიზანი შეიძლება უფრო მიზანშეწონილი იყოს კონკრეტული კურსებისთვის სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, ვიდრე პროგრამის ყოვლისმომცველი მიზნებისთვის. მაგალითად, პროგრამის მიზანი სტუდენტებს გააცნოს სკოლამდელი განათლების სფეროში არსებული საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, უფრო მიზანშეწონილია, იყოს კონკრეტული კურსის მიზანი, რომელიც ეხება სკოლამდელი განათლების სამართლებრივი და მარეგულირებელი საკითხებს. პროგრამის ვიწრო მიზნებმა შეიძლება შეზღუდოს პროგრამის ფარგლები და ზედმეტად ფოკუსირება მოახდინოს სკოლამდელი განათლების კონკრეტულ სფეროზე ან ასპექტზე.

ანალოგიურად, მიზანი - მისცეს სტუდენტებს ფართო ცოდნა მსოფლიოში ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროში არსებული კურიკულუმების შესახებ, შეიძლება უფრო მიზანშეწონილი იყოს სკოლამდელი განათლების მიდგომებისა და კურიკულუმების კონკრეტული კურსისთვის. ამიტომ, რეკომენდებულია, საბაკალავრო პროგრამისთვის მკაფიოდ გაიმიჯნოს პროგრამის და კურსის დონის მიზნები. მნიშვნელოვანია, პროგრამის დონის მიზნები მოიცავდეს ისეთ ფართო საკითხებს, როგორიცაა, მაგალითად, კურიკულუმის შემუშავება. პროგრამის მიზნები ასევე უნდა უზრუნველყოფდეს ინდივიდუალური კურსების შემუშავებისა და მიწოდების ჩარჩოს, რისთვისაც ეს მიზნები უნდა იყოს შედარებით ყოვლისმომცველი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, თვითშეფასების ჯგუფთან და უნივერისტეტის ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუები დამსაქმებელთან
- თვითშეფასების დოკუმენტი

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის მიზნების ფორმულირება, რომ იყოს შედარებით უფრო ფართო და არა ვიწრო, ორიენტირებული სპეციფიურ დარგობრივ საკითხებსა და უნარებზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☐	☒	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები, მოიცავს ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების ფართო სპექტრს, რაც მნიშვნელოვანია სკოლამდელი განათლების პროფესიონალებისთვის. შედეგების პირველი ნაკრები (1.1-1.4) ფოკუსირებულია ცოდნასა და ცნობიერებაზე, რომელიც მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა ბავშვის განვითარება, სწავლის თეორიები, ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების სტრატეგიები, სამართლებრივი და ნორმატიული აქტები და ბავშვის დაცვა. ეს მიზნები მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სტუდენტებმა მყარი საფუძველი შეიქმნან სკოლამდელი განათლების სფეროს შესახებ.

შედეგების მეორე ნაკრები (2.1-2.2) ფოკუსირებულია ბავშვებთან მუშაობასთან დაკავშირებული სპეციფიკური უნარების განვითარებაზე, როგორიცაა მზრუნველობითი ურთიერთობების დამყარება, სპეციალურ საჭიროებებზე დაკვირვება და იდენტიფიცირება. ჰოლისტური განვითარებისთვის აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება. ეს შედეგები მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სტუდენტი მზად იყოს უზრუნველყოს მაღალი ხარისხის ზრუნვა და განათლება სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის.

შედეგების საბოლოო ნაკრები (3.1) ფოკუსირებულია პასუხისმგებლობისა და ავტონომიის განვითარებაზე, ხაზს უსვამს საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვისა და წარმართვის მნიშვნელობას, კოლეგებთან გამოცდილების გაზიარებას და პროფესიულ დისკუსიებში მონაწილეობას. ეს შედეგები მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სტუდენტებს შეეძლოთ მოირგონ ლიდერის როლები თავიანთ საქმიანობაში და განაგრძონ თავიანთი უნარებისა და ცოდნის განვითარება დროთა განმავლობაში.

თუმცა, ხაზგასასმელია რამდენიმე კრიტიკულად მნიშვნელოვანი საკითხი:

- უფრო შეზღუდულად არის წარმოდგენილი პრაქტიკული უნარების გამომუშავება: მიუხედავად იმისა, რომ შედეგები 1 და 2 მოიცავს უამრავ თეორიულ ცოდნას, შეიძლება მეტი აქცენტი გაკეთდეს პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე, მითუმეტეს, რომ პროგრამის 40 კრედიტი იძლევა პრაქტიკის სივრცეში მუშაობის და პრაქტიკული უნარების გამომუშავების შესაძლებლობას.
- მნიშვნელოვანია ასევე პროგრამა უზრუნველყოფდეს სკოლამდელი განათლების დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული კომპეტენციების გამომუშავების შესაძლებლობას. ამ თვალსაზრისით, დარგობრივ მახასიათებლებში არის გარკვეული საკითხები, რომელიც არ იფარება პროგრამით; კერძოდ, (i) იცის მულტილინგვური მოდელები; (ii) ოჯახის და თემის ჩართულობის საკითხებთან დაკავშირებული კომპეტენციები; (iii) უწყვეტად განიხილავს და აფასებს საკუთარ და სხვის პრაქტიკას ინდივიდუალურად და ერთობლივად; შეუძლია გამოცდილების გაზიარება კოლეგებთან; შეუძლია დისკუსიებში მონაწილეობა და სწავლა აზრთა სხვადასხვაობის კონტექსტში; შეუძლია ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე არგუმენტირებული დისკუსია და კრიტიკა; (iii) იაზრებს კვლევის მნიშვნელობას პრაქტიკის სრულყოფაში. შეუძლია ადრეული განათლების მიმართულებით სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მოძიება, ინტეგრირება, დამოუკიდებლად და/ან კოლეგებთან თანამშრომლობით პრაქტიკის კვლევის დაგეგმვა, განხორციელება, კვლევისა და პრაქტიკის თანხვედრის ანალიზი)

საერთო ჯამში, შედეგები იძლევა კარგ საწყის სკოლამდელი განათლების პროგრამისთვის, მაგრამ გასაუმჯობესებელია დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის/კვლევის ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის შედეგები სრულად მოვიდეს შესაბამისობაში დარგობრივ მახასიათებელთან, კერძოდ როგორიცაა პრაქტიკის კვლევის განხორციელების კომპეტენცია, მულტილინგვური სწავლება და ა.შ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	☒	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების აღმწერი დოკუმენტი, რომელიც აღწერს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობას, შეფასების მეთოდებსა და შედეგების გამოყენების შესაძლებლობებს. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმას, სადაც გათვალისწინებულია სწავლის შედეგების შეფასების როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდები.

პირდაპირი შეფასებისას გამოყენებულია: საგნობრივი/კრებსითი გამოცდა, პრაქტიკული დავალება, პროექტი, სპეციალობის პრაქტიკა.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირ მეთოდად გამოიყენება პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის დაკვირვება, დამსაქმებელთა, პრაქტიკის ხელმძღვანელთა და კოლეგების გამოკითხვა.

პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგებისათვის. პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი ქმნის მონიტორინგის ჯგუფს ფაკულტეტის ხარისხთან

და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან ერთად და მათი ჩართულობით მოხდება სწავლის შედეგების შეფასება და სამიზნე ნიშნულებთან დადარება, რასაც მოჰყვება მიგნებების იდენტიფიცირება, ანალიზი, დასკვნები და რჩევები პროგრამის განვითარებისთვის. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის განვითარებისა და მოდიფიცირებისათვის.

კვლევის შედეგების ანალიზისა და რეკომენდაციების მომზადებას უზრუნველყოფს ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი. მუშავდება სტატისტიკური მონაცემები, საგანმანთლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან და დარგის სპეციალისტთან თანამშრომლობით. სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედი ,,საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესის“ შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- დაწესებულების ვებგვერდი;
- თვითშეფასება;
- ინტერვიუს შედეგები;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი;

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების	☒	☐	☐	☐

შეფასების მექანიზმი				

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამა შედგენილია სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსში გათვალისწინებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და სწავლის შედეგები. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ნაწილობრივ შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ერთი შეხედვით პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, მაგრამ თითქმის სასწავლო კურსების ნაწილის შინაარსი ვერ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ქვემოთ მოცემულია სწავლის შედეგების და სასწავლო კურსების რუკა, სადაც გაფერადებული გრაფები მიუთითებს სასწავლო კურსის და პროგრამის შედეგის შეუსაბამობას. ეს საკითხები უფრო დეტალურადაა განხილული სასწავლო კურსების ნაწილში - სტანდარტი 1.5.

სასწავლო კურსები / სწავლის შედეგები	შესავალი პედაგოგიკურ აზროვნებაში	ბავშვის ფსიქოლოგია, სწავლისა და განვითარების თეორიები	ადრეული განათლების საფუძვლები	ადრეული განათლების მართვა, მარეგულირებელი დოკუმენტები და პროფესიული ეთი	საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მეთოდოლოგია ადრეულ განათლებაში.	ბავშვზე ორიენტირებული, შემეცნებითი და ფიზიკური განვითარების მხარდამჭერი გარ	კვლევის მეთოდები ადრეულ განათლებაში	ჯანმრთელობა და ბავშვზე ზრუნვა. პირველადი დახმარება	პოზიტიური მწიფლობა	თამაში	ბავშვთა უფლებები	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებ	ადრეული ინკლუზიური განათლება	სასკოლო მზაობა, ტრანზიცია	კურიკულუმები სკოლამდელ განათლებაში	ენის, მეტყველების, კომუნიკაციის და წიგნიერების განვითარება	მათემატიკური ცნებები და წარმოდგენები ადრეულ განათლებაში	ფიზიკური და გამოყენებითი ხელოვნება	მეცნიერება და სამყაროსა ეკსპერიმენტები	მუსიკიერობა და ქოლეჯი	ბიგნობითი პრაქტიკა 1	ბიგნობითი პრაქტიკა 2	პრაქტიკა სკოლამდელ დაწესებულებაში 1 (სასწავლო-საველმრდელო)	პრაქტიკა სკოლამდელ დაწესებულებაში 2 (სასწავლო-საველმრდელო)	პრაქტიკა სკოლამდელ დაწესებულებაში 2 (სასწავლო-საველმრდელო)
ცოდნა და გაცნობიერება	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25
აღწერს და **განმარტავს** ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარების მახასიათებლებს, ბავშვის განვითარების დარღვევებს, ბავშვის განვითარებაზე მოქმედ ფაქტორებს, **მსჯელობს** სწავლისა და განვითარების		x					x	x	x	x	x	x				x	x	x	x						
1.2. **აღწერს** და **განმარტავს** ადრეული ასაკის ბავშვის სწავლა-სწავლების სხვადასხვა სტრატეგიას, გარემოს ორგანიზების პრინციპებს და **ასაბუთებს** თამაშის ცენტრალურ მნიშვნელობას ბავშვის განვითარების საქმეში	x		x		x					x			x		x	x	x	x	x						
1.3. **მსჯელობს პოზიტიური მწიფლობის მნიშვნელობის შესახებ ბავშვის სრულფასოვანი განვითარებისათვის. აანალიზებს მშობლის დამოკიდებულების მნიშვნელობას ბავშვის ასაკობრივი და ინდივიდუალური**		x	x		x				x				x							x					
1.4. **აღწერს** და **განმარტავს** ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში არსებულ სამართლებრივი და ნორმატიული აქტების რეგულირების სფეროებსა და ძირითად პრინციპებს, ბავშვთა			x	x	x								x							x					
უნარი																									
2.1. ამყარებს ბავშვთან სენსიტიურ, გულისხმიერ, თანმიმდევრულ და მდგრად პედაგოგიურ ურთიერთობებს, ზრუნავს ბავშვის კეთილდღეობაზე.	x	x																			x	x	x	x	x
2.1. აკვირდება ბავშვებს, ახდენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიცირებას, ბავშვის პროგრესის დოკუმენტირებას. ბავშვების საჭიროებების, ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად		x	x		x		x			x		x				x	x		x	x	x		x	x	x	x
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა																					x	x	x	x	x
2.1. მკაფიო მითითებების საფუძველზე გეგმავს და წარმართავს საგანმანათლებლო აქტივობებს, ახდენს საქმიანობის დოკუმენტირებას, უზიარებს გამოცდილებას კოლეგებს, მონაწილეობს პროფესიულ დისკუსიებში და სწავლობს აზრთა სხვადასხვაობის კონტექსტში;	x	x	x																x	x	x	x	x	x	x

რაც შეეხება პროგრამის სტრუქტურის მეტ დეტალებს, ძირითადად ერთი კურსია ყველა კურსის წინაპირობა - ,,ადრეული განათლების საფუძვლები''. გადასახედია სტრუქტურაში კურსების წინაპირობები. მაგალითად, კურსი ,,საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების მეთოდოლოგია ადრეულ ასაკში'', რომელიც ეხება მეთოდოლოგიურ საკითხებს, უმჯობესია იყოს ისეთი კურსების წინაპირობა, როგორიცაა მაგ. ,,მათემატიკური ცნებები და წარმოდგენები ადრეულ ასაკში'', ან ,,მეცნიერება და სახალისო ექსპერიმენტები', ასევე ,,ვიზუალური ხელოვნება''. აგრეთვე, კურსი - ,,ბავშვის ფსიქოლოგია, სწავლის და განვითარების თეორიები'' უფრო შეესაბამება იყოს ,,დაკვირვება, შეფასების'' წინაპირობა, ვიდრე ,,ადრეული განათლების საფუძვლები''. ან თუნდაც ,,საგანმანათლებლო პროცესის განხორციელება'' შეიძლება იყოს რიგი პრაქტიკული კურსების წინაპირობა, რადგან ამ კურსზე ისწავლება მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური საკითხები რაც კარგი საფუძველი იქნება სხვა პრაქტიკული კურსებისთვის.

პროგრამა შედგენილია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემით (ECTS). 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება საგნების მიხედვით წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 4 წელი (8 სემესტრი, თითოეულ სემესტრში 30 კრედიტი) და ჯამში მოიცავს 240 კრედიტს. კვალიფიკაცია სკოლამდელი განათლების ბაკალავრი მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი განათლების“ კურიკულუმით გათვალისწინებული 240 კრედიტის შესრულების შემთხვევაში. სტუდენტს, თავისუფალი არჩევითი კურსების სათანადო შერჩევით, შეუძლია შეისწავლოს შესაბამისი სასწავლო კურსები მისი ინტერესის შესაბამისად. ერთი აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს, სემესტრი - როგორც წესი, საშუალოდ 30 კრედიტს. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს. სემესტრი მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდის/გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდაზე/გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს.

პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს და წარმოდგენილია შემდეგი მოცულობითა და სტრუქტურით:

- სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები 140 ECTS
- სწავლის ძირითადი სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები 15 ECTS
- თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები - 40 ECTS.

- თავისუფალი კომპონენტები - 45 ECTS.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- თვითშეფასება
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გადაიხედოს კურსების თანმიმდევრობა, კურსებზე დაშვების წინაპირობა, რათა მაქსიმალური იყოს კურსებს შორის ლოგიკური კავშირები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ანალიზისას გამოვლინდა გარკვეული შეუსაბამობა პროგრამის სწავლის შედეგებთან. ქვემოთ განხილულია ამ თვალსაზრისით პრობლემურ თითოეულ სასწავლო კურსები:

გაცნობითი პრაქტიკები, რომელიც ჯამში შეადგენს 10 კრედიტს, არ გადის 2.1 შედეგზე, რომელიც ეხება ბავშვებთან გულისხმიერი, თანმიმდევრული და მდგრადი პედაგოგიური ურთიერთობების დამყარებას და ზრუნვას ბავშვების კეთილდღეობაზე. - ამ შედეგზე არ გადის გაცნობითი პრაქტიკა; პრაქტიკულად ამ ორი გაცნობითი პრაქტიკის დროს სტუდენტს არა აქვს ბავშვებთან ურთიერთობა; ასევე არ გადის 3.1 შედეგზე, სადაც საუბარია საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვასა და საგანმანათლებლო აქტივობების წარმართვაზე. გაცნობითი პრაქტიკების მიზანია: დაკვირვებით თეორიული ცოდნის გაღრმავება, დაწესებულების სტრუქტურის, შინაგანაწესის, უსაფრთხოების, პერსონალის უფლება-მოვალეობების შესწავლა. იგივე ეხება მეორე გაცნობით პრაქტიკის მიზანსაც, რომლის თანახმადაც, სტუდენტები შეისწავლიან დაწესებულებებში ბავშვზე ორიენტირებული მხარდამჭერი გარემოს შექმნის პრინციპებს (ეს უფრო თეორიული კურსის ამოცანა შეიძლება იყოს); უნდა გაანალიზონ თამაშის მნიშვნელობა, და აქტივობის შედეგები დააკავშირონ ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტთან. ეს მიზნებიც უფრო შეესაბამება სხვა თეორიული კურსების შედეგებს. სტუდენტები მთელი გაცნობითი პრაქტიკის მსვლელობისას, რომელიც შეადგენს 10 კრედიტს, აკვირდებიან გარემოს სხვადასხვა კომპონენტებს. პრაქტიკის კურსში უფრო უნდა მოხდეს გამთლიანება ნასწავლი უნარების და პრაქტიკულ საქმიანობაში მათი გამოცდა. დარგობრივი მახასიათებლის მინიმუმ 40 კრედიტით პრაქტიკის განსაზღვრა ემსახურება იმ მოთხოვნას, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდეთ პრაქტიკული უნარები გამოიმუშაონ უშუალოდ ბაღის ცხოვრებაში სრულფასოვანი ჩართულობით და მონაწილეობით. ზემოთ აღნიშნული აქტივობები შეიძლება იყოს თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის ნაწილი.

პირველი პრაქტიკის თემებიც ეხება დაკვირვებას, მაგალითად, აღსაზრდელზე დაკვირვება ფსიქოლოგიური დახასიათების შესადგენად; აზროვნების, მეხსიერების, ფანტაზიის, ყურადღების საკითხებზე დაკვირვება, ემოციონალური პრობლემებზე დაკვირვება (გაუგებარია რატომ არის გამოყოფილი ემოციურ პრობლემებზე დაკვირვება, სასწავლო კურსები საერთოდ არ ეხება სოციალურ ემოციური განვითარების ხელშეწყობას ბავშვებში); ასევე, ჯგუფში აღსაზრდელის რეიტინგზე (გაუგებარია რა იგულისხმება აღსაზრდელის რეიტინგში) დაკვირვება; შემდგე გრძელდება დაკვირვებებით და აღმზრდელის აქტივობაზე დასწრებით; ბოლო კვირეებში ხდება მენტორის ან სხვა აღმზრდელ-პედაგოგის მიერ დაგეგმილი შემაჯამებელი აქტივობის/ზეიმის სცენარების გაცნობა (ასევე გაუგებარი რატომ ზეიმის სცენარი), აქტივობაზე დაკვირვება, სქემის შევსება; მხოლოდ ბოლო სამ კვირას ატარებს აქტივობას, აქედან ერთი კვირა მომზადება, ერთი კვირა აქტივობის ჩატარება. აღსანიშნია, რომ აქაც ძალიან შეზღუდულად ეძლევათ სტუდენტებს პრაქტიკული საქმიანობის შესაძლებლობა, და ისიც იზოლირებული აქტივობების ჩატარებით შემოიფარგლება.

მეორე და მესამე პრაქტიკებსაც ისევ დაკვირვებით იწყებს სტუდენტი და ბოლოს ატარებს მხოლოდ 4 (მეორე პრაქტიკის დროს) და 5 (მესამე პრაქტიკის) აქტივობას.

სასწავლო კურსი - ,,**შესავალი თანამედროვე პედაგოგიკურ აზროვნებაში**''. კუსის აღწერისას გამოყენებულია სასკოლო ტერმინები, როგორიცაა მოსწავლე, მასწავლებელი; კურსის მიზნებს არ შეესაბამება კვირის თემატიკა, მაგალითად, მიზანში წერია - მისცეს სტუდენტს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, თუ როგორ უნდა აღვზარდოთ და განვავითაროთ პიროვნება; შეასწავლოს პედაგოგიკური თვალსაზრისით ბავშვის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები სწავლებისა და აღზრდის პროცესში, ფიზიკური, კოგნიტური, სოციალურ-პიროვნული განვითარებისათვის; კურსის მხოლოდ ერთ კვირაშია მოცემული თემა, რომელიც ეხება პიროვნების ფორმირებას და ისიც მხოლოდ ფაქტორებზეა საუბარი. ამიტომ ეს კურსი ვერ გადის მითითებულ შედეგებზე - 1.2; 2.1 და 3.1, რომელიც ეხება ბავშვებთან პოზიტიური და გულისხმიერი კომუნიკაციისა და მდგრად პედაგოგიური ურთიერთობების დამყარებას, აქტივობების დაგეგმვას, დოკუმენტირებას და ა.შ.

სასწავოლო კურსი - ''**ბავშვის ფსიქოლოგია, სწავლის და განვითარების თეორიები**' ვერ გადის პროგრამით განსაზღვრულ პრაქტიკულ უნარებზე - 2.1 და 3.1; ასევე კურსის შედეგში მხოლოდ ამ უნარის განვითარებაა მოცემული - აანალიზებს ადამიანის განვითარებაზე მოქმედ ფაქტორებს; ქეისებისა და ვიდეო-მასალების ანალიზის საფუძველზე, აფასებს ბავშვის ფიზიკურ, კოგნიტურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ხოლო პროგრამის 2.1 და 3.1 შედეგები ეხება საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას და წარმართვას აქტივობების, ბავშვებთან ურთიერთობებს.

სასწავლო კურსი **,,ადრეული განათლების მართვა, მარეგულირებელი დოკუმენტები და პროფესიული ეთიკა**'. კურსი, რომელსაც ასეთი სახელწოდება აქვს, უნდა ეხებოდეს მართვის საკითხებს, თუმცა კურსის მიზნებსა და შედეგებში მოცემულია შემდეგი საკითხები, მაგალითისთვის მოგვყავს კურსიდან ორი მიზანი:

- განავითაროს პედაგოგიკის კვლევის ზოგადი მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების, დიალოგის წარმართვის, თანამშრომლობის, დამოუკიდებელი აზროვნებისათვის და აღმზრდელისათვის საჭირო უნარ–ჩვევები.
- მიიღოს ცოდნა აღზრდის, განათლების, სწავლებისა და განვითარების მნიშვნელობის შესახებ პიროვნების ფორმირების პროცესში, რათა საკუთარი საქმიანობისა და აღსაზრდელთა შეფასების ანალიზის საფუძველზე გააუმჯობესოს მოსწავლეთა მიღწევები და სრულყოს თავის პედაგოგიური პრაქტიკა.

ასევე შედეგებში მოცემულია შემდეგი:

- განსაზღვრავს აღზრდის, განათლების, სწავლების, ასაკობრივი და ინდივიდუალური განვითარების თავისებურებების, აღზრდის არსის, აღზრდის პრინციპების, აღზრდის მეთოდების მნიშვნელობას ადრეული ასაკის ბავშვის ფიზიკური, კოგნიტური, სოციალური განვითარებისა და ფორმირების პროცესში.
- მოიძევს საზღვარგარეთის თანამედროვე პედაგოგიურ კონცეფციებს და თეორიებს, კლასიკოს პედაგოგთა ინოვაციურ იდეებს, რომლებსაც ნერგავდნენ საუკუნეების განმავლობაში მსოფლიო პედაგოგიკურ აზროვნებაში, გამოკვეთს აღსაზრდელთათვის მამოტივირებელ სააღმზრდელო გარემოს, რათა გააცნობიეროს თითოეული აღსაზრდელის უნიკალურობა.

ხოლო კურსის თემებში მოცემულია: ჩაშენებული პრაქტიკა - ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის პრინციპები; ასაკობრივი ჯგუფები და მათი სპეციფიკა; სალექციო თემა - კომუნიკაცია, ენისა და მეტყველების განვითარება, წიგნიერება. ასევე ერთ-ერთი თემაა ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები საჯარო დაწესებულებაში საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით და საჯარო მოხელის ურთიერთობა სახელმწიფოსთან.
კურსის სასწავლო რესურსებშიც არ ჩანს ლოგიკა ლიტერატურის შერჩევის. თითქოს დარგში არსებული ყველა სახელმძღვანელოა ჩამოთვლილი. აუცილებელია მიზნობრივად შეირჩეს კურსის შესაბამისი ლიტერატურა.

კურსი - **,,ბავშვზე ორიენტირებული, შემეცნებითი და ფიზიკური განვითარების მხარდამჭერი გარემო**'. - შედეგების რუკაში არცერთ შედეგთან არ არის დაკავშირებული. ასევეა კურსი ,,სასკოლო მზაობა და ტრანზიცია''. კურსი ეხება შემეცნებითი და ფიზიკური განვითარების მხარდამჭერ გარემოს და შედეგად მითითებულია ჰოლისტური განვითარება და სხვადასხვა გარემო. ასევე, გადასახედია თემატიკა, რომ უფრო ლოგიკურად იყოს დალაგებული. ამ კურსში მოცემული ლიტერატურა მეორდება ყველა მეთოდოლოგიის კურსშიც.
ერთ-ერთი კურსი ორი სახელწოდებითაა სხვადასხვა დოკუმენტებში **,,კვლევის მეთოდები ადრეულ განათლებაში**' და **,,დაკვირვება და შეფასება ადრეულ განათლებაში**'; თემებიც შესაბამისად არეულია, კურსის მიზნიდან იკითხება, რომ სტუდენტი დაეუფლება - შეისწავლის ბავშვის კვლევის მეთოდებს და ეთიკას, ბავშვის განვითარების შესწავლის მეთოდოლოგიურ მიდგომებს, დოკუმენტების წარმოებას, ინფორმაციის გაზიარებას, და მონაცემების ინტერპრეტაციას. და შეისწავლოს სკოლამდელი ასაკის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში განვითარების სკრინინგ კითხვარებისა და განვითარების ჩექლისტის წარმოება. თუმცა ერთ-ერთი თემაა მაგალითად - განვითარების შემსწავლელი მეთოდოლოგიური მიდგომები: ლონგიტუდინური მეთოდური მიდგომა (დიზაინი); კროსსექციური მეთოდური მიდგომა (დიზაინი); კულტურის და ისტორიის პერიოდის გავლენა ბავშვის განვითარებაზე. ენა გასამართია გამოყენებულია ისეთი ტერმინების როგორიცაა ბენეფიციარი, ანამნეზი, თერაპიის მიმდინარეობის პროცესი;
არ არის კურსში მითითებული ლიტერატურა.

კურსში '**,,ჯანმრთელობა და უსაფრთხოება''** ბუნდოვანია როგორ შეფასდება შემდეგი შედეგები უნარები:

- უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს
- იცავს ჰიგიენის ძირითად ნორმებს
- უზურნველყოფს ჯანსაღ კვებას
- პირველადი დახმარების გაწევა

კურსი **,,სასკოლო მზაობა და ტრანზიცია**'' აგებულია სრულად ერთ-ერთ სკოლამდელი განათლების კურიკულუმზე 'სასკოლო მზაობა - თ.ა.მ.ა.შ.ი'. უმჯობესია, უფრო ფართე კონტექსტში ისწავლებოდეს სტუდენტებისთვის ტრანზიციის საკითხები და არა ერთ-ერთი კურიკულუმის ფარგლებში, რადგან შესაძლებელია ეს კურიკულუმი ჩანაცვლდეს სხვა

კურიკულუმით, რადგან არ არის ეროვნული კურიკულუმი. ერთ ვიწრო სახელმძღვანელოზე ორიენტირება არ არის მოსახერხებელი დარგში მიმდინარე სწრაფი ცვლილებების ფონზე.

კურსი - **,,ენის, მეტყველების, კომუნიკაციის და წიგნიერების განვითარება**'. კურსის თემები არ არის კავშირში ენისა და წიგნიერების განვითარებასთან, მაგალითად ერთ-ერთი თემაა პროფესიული განვითარება, ასევე, ეფექტური პროფესიული განვითარების მახასიათებელები, პრაქტიკის კვლევა, მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობა, ბავშვის განვითარების შეფასება, კითხვის ხუთი კომპონენტი, კითხვის სწავლების პერიოდები, როგორ ითვისებენ ბავშვები კითხვას და წერას და ა.შ. თუმცა კურსის მიზანში წერია შემდეგი - კურსში კომპლექსურად განიხილება ადრეულ და სკოლამდელ საფეხურზე ენა, მეტყველება, წიგნიერი უნარების განვითარების ხელშეწყობის ყველა მნიშვნელოვანი ფაქტორი, წარმოდგენილია სწავლა-სწავლების ფსიქოლოგიური მექანიზმები, წიგნიერების მიმართულებით პედაგოგიკის თანამედროვე გამოწვევები და სართაშორისო პრაქტიკა; კურსის თემატიკა ამ მიზანთან სრულიად შეუსაბამოა. ლიტერატურა საერთოდ არ ეხება ადრეულ განათლებას, ძირითადად სკოლის საფეხურის ლიტერატურაა, რომელიც ეხება კითხვის სწავლებას, წერის სწავლებას; ასევეა მოცემული ლიტერატურა, რომელიც არ შეესაბამება ამ კურსის თემატიკას, მაგ. ადრეული განათლების კურიკულუმები;

კურსი - **მათემატიკური ცნებები და წარმოდგენები ადრეულ განათლებაში.** ამ კურსში მოცემული მიზნები და შედეგები, რაზეც უნდა გავიდეს სტუდენტი მოცემული ბავშვის პერსპექტივით. მიზნებში წერია: მაგალითად, სტუდენტი შეისწავლის გროვიდან საგნის ამოცნობას და დასახელებას; ერთნაირი საგნებისაგან შემდგარი მოწესრიგებულ, მოუწესრიგებელ ერთობლიობებს; საგნების ელემენტარული ნიშნით დაჯგუფებას; ცნებებს - ერთი, ბევრი, მეტი, ნაკლები, ყველა, არცერთი; სილაბუსში არ არის მოცემული ლიტერატურა. ასევე, თემატიკაში არ არის ინტეგრირებული მეთოდოლოგიური საკითხები, როგორ უნდა უზრუნველყოს სტუდენტმა ბავშვებში მათემატიკური ცნებების ჩამოყალიბება. ეს კურსი არ გადის მითითებულ სამ შედეგზე 1.1; 1.2 და 2.1;

კურსი - ',,**ვიზუალური და გამოყენებითი ხელოვნება".** კურსის მიზანში მოცემული ტერმინი მეცადინეობა - ეწინააღმდეგება თანამედროვე ადრეული განათლების პრინციპებსა და ღირებულებებს. ასევე, თემები არ არის ლოგიკურად დალაგებული, მონაცვლეობით არის სახვითი და საშემსრულებლო თემები. ასევე, საუბარია მოტორიკის განვითარებაზე. გაურკვეველია რატომ კეთდება ხელოვნების ნაწილში მხოლოდ მოტორიკაზე აქცენტი.

ბუნდოვანია მოცემული თემები: 'ესთეტიკური აღქმა - სიამოვნება, შთაბეჭდილება, ანალიზი, დარგი, ჟანრი, მასალა, სტრუქტურა, სახვითი ხელოვნების ელემენტები და პრინციპები'; 'დაკავშირება მუსიკის გამომსახველ საშუალებებთან'; ასევე ბუნდოვანია თემა, 'პრაქტიკული მუშაობის სპეციფიკა და ერთმანეთთან კავშირი'; 'შემოქმედებითი პროდუქტი - უცვლელი სახით'.

თემის - ნიმუშების შერჩევის კრიტერიუმები - ლიტერატურაა საბავშვო ბაღის აღმზრდელის დამხმარე სახელმძღვანელო, რაც არ არის კავშირში თემასთან. ასევეა მოძრაობა და სამუსიკო შემსრულებლობის თემაში მოცემული სტატია, რომელიც ეხება წერის წინა უნარებს და უფრო კონკრეტულად საწერი საშუალებების კონტროლს.

ასევე ბუნდოვანია კურსის თემები - ,,მრავალფეროვნებისა და განსხვავებულობის პატივისცემა. ინკლუზიური განათლების მახასიათებლები', ,,ნახატი. ფრესკა. ქანდაკება.

ილუსტრაცია. დიზაინი-შენობა. ეზო. თოჯინა, სათამაშო. ფოტო, ფილმი''. აღმზრდელ-პედაგოგის სტანდარტი, ჰ. გარდნერის მრავალგვარი ინტელექტის თეორი, რომელიც ლექტორს მოაზრებული აქვს ასწავლოს ერთ საათიან სალექციო ფორმატში.
კურსის ლიტერატურაც გადასახედია. კურსს უფრო შეესაბამება შემდები სახელწოდება - ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნება. ეს კურსიც არ. გადის არცერთ მითითებულ შედეგზე - 1.1; 1.2; და 2.2.

საბოლოო ჯამში, გარკვეული სასწავლო კურსების შინაარსი არ არის შესაბამისობაში კურსის სწავლის შედეგებთან, თუმცა კურსების კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაშია შესაბამისი კურსის სწავლის შედეგებთან. სავალდებულო კურსების სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა ძირითადად დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე, თუმცა ასევე არის რიგი სილაბუსებისა, სადაც მითითებული ლიტერატურა არ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, რადგან მასალა არ არის ლოგიკურად დაკავშირებული კურსის თემატიკასთან, ან წარმოადგენს სხვა დარგის რესურსს.

სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ლოგიკურია, გათვალისწინებულია სასწავლო კურსის სპეციფიკა და საშუალო მოსწრების სტუდენტისთვის საჭირო დრო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (სწავლის შედეგების რუკა)
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს სილაბუსები და მოვიდეს შესაბამისობაში კურსის სწავლის შედეგებთან. მიზნები და თემატიკა, ზოგიერთ სილაბუსში არ მოდის თანხვედრაში მიზნები თემატიკასთან; ასევე, არის რიგი სილაბუსი, რომლის შინაარსიც არ შეესაბამება პროგრამის მიზანს და შედეგებს.
- გადაიხედოს სასწავლო რესურსები და ლიტერატურა, კერძოდ, ლოგიკურად დაუკავშირდეს კურსის თემატიკას, რიგი სილაბუსების შემთხვევაში მიეთითოს ლიტერატურა და შეირჩეს სწორად, რათა უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☐	☐	☒	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ზსსუ-ს მიერ განსაზღვრულია ,,სკოლამდელი განათლების'' საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა და ის შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან;

პროგრამაზე მიღების წინაპირობები გაწერილია როგორც პროგრამაში, ასევე ,,ზსსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში''; კერძოდ, საბაკალავრო პროგრამის თანახმად, ,,პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე

საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე". პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბაროს შემდეგი სავალდებულო საგნები: ქართული და უცხოური ენა (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული) და არჩევითი საგნებიდან ან მათემატიკა ან ისტორია; სასწავლო უნივერსიტეტი სტუდენტებისთვის შესაბამისი უცხო ენის დიაგნოსტიკური ტესტის გამოყენებით უზრუნველყოფს ჯგუფების დიფერენციაციას უცხო ენის ცოდნის დონეებისა და ჩაბარებული უცხო ენის მიხედვით; შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ზემოთ ჩამოთვლილი ნებისმიერი უცხო ენის შესაბამისი დონით სწავლებას (ჯამში 20 ECTS);

აღსანიშნია, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები ითვალისწინებს შიდა ან/და გარე მობილობას და ასევე, დასაშვებია მიღება უცხო ქვეყნის მოქალაქეებისაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტიც, რომ უსდ პროგრამაზე მიღების პროცედურების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს ვებგვერდის საშუალებით (გზამკვლევი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი); ზსსუ-ს ვებგვერდზე სკოლამდელი განათლების პროგრამა საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში ჯერ არ არის დამატებული, თუმცა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის აბიტურიენტთა ცნობარში 2023 აღნიშნულ პროგრამაზე მიღება გამოცხადებულია შესაბამისი წინაპირობების მითითებით;

ზსსუ-ს შემუშავებული აქვს ,,სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობისა და მისაღებ სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია", რომელიც ითვალისწინებს ადამიანურ და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, დასაქმების მაჩვენებლებს, პრაქტიკის ობიექტების რაოდენობას, პროგრამის დასრულების დინამიკას; დაწესებულება პროგრამაზე სტუდენტთა მიღებას გეგმავს სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად; საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა მაქსიმალური კონტინგენტი - ყოველწლიურად 20-25 სტუდენტის მიღება, ხოლო არსებული რესურსების გათვალისწინებით, მიმდინარე წელს დაგეგმილია 15 სტუდენტის მიღება (ცნობარი აბიტურიენტებისთვის 2023);

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (დაშვების წინაპირობა);
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- ვებგვერდი
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- ცნობარი აბიტურიენტებისთვის 2023
- ,,სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობისა და მისაღებ სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია"

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ზსსუ-ს პროგრამა საფეხურის შესაბამისად უზრუნველყოფს სტუდენტისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას; კერძოდ, ,,სკოლამდელი განათლების დარგობრივ მახასიათებლებთან'' შესაბამისად, ზსსუ-ს სკოლამდელი განათლების პროგრამის პრაქტიკის კომპონენტი შეადგენს 40 ECTS კრედიტს (გაცნობითი პრაქტიკა 1 – 5 ECTS, გაცნობითი პრაქტიკა 2 – 5 ECTS, პროფესიული პრაქტიკა 1 – 10 ECTS, პროფესიული პრაქტიკა 2 – 10 ECTS, პროფესიული პრაქტიკა 3 – 10 ECTS); ამასთანავე, ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა ,,ადრეული განათლების მართვა'', ,,ადრეული განათლების მარეგულირებელი დოკუმენტები და პროფესიული ეთიკა'', ,,ბავშვზე ორიენტირებული, შემეცნებითი და ფიზიკური განვითარების მხარდამჭერი გარემო'', ,,სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები'' მოიცავს ჩაშენებულ პრაქტიკას;

გაცნობითი პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტი ძირითადად აწარმოებს დაკვირვებას, ეცნობა სკოლამდელ დაწესებულებაში დასაქმებული პირების უფლება-მოვალეობებს, სტრუქტურას, შინაგანაწესს, აკეთებს ჩანაწერებს და რეფლექსიას, ხოლო პროფესიული პრაქტიკის (1-3) ფარგლებში კი სტუდენტი თავად წარმართავს საგანმანათლებლო პროცესს - გეგმავს და ახორციელებს აქტივობებს სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში; პრაქტიკის სილაბუსი მოიცავს ინფორმაციას პრაქტიკის განხორციელებაში ჩართული ყველა პირის ფუნქცია-მოვალეობების

შესახებ, აქტივობების გეგმას, შესრულებული აქტივობების შეფასების დეტალურ პროცედურებს და ანგარიშის, დაკვირვებისა და დღიურის წარმოების გზამკვლევს სტუდენტებისთვის;

ინტერვიუებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ პრაქტიკის გავლის პერიოდში უნივერსიტეტიდან სტუდენტს ხელმძღვანელობს სფეროს კვალიფიციური პირები; ამასთანავე, დადასტურდა, რომ დაწესებულება პრაქტიკის კომპონენტის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, ზრუნავს მენტორთა გადამზადებაზე მათი პროფესიული განვითარებისთვის, რაც დასტურდება შესაბამის სამიზნე ჯგუფებთან ინტერვიუს შედეგებითა ((განხორციელებული ტრენინგი, კონფერენცია და .ა.შ.) და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით; თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებთან თუ დამსაქმებლებთან და პოტენციურ მენტორებთან ინტერვიუმ კიდევ ერთხელ დაადასტურა, პროფესიული განვითარების მიმართულებით გადამზადების ინტენსიურად გაგრძელების საჭიროება;

პრაქტიკის ობიექტებთან, დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების/მემორანდუმების შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ აღნიშნული ხელშეკრულებები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, პრაქტიკის მიზანს, შედეგსა და ხანგრძლივობას; ამ ეტაპზე ზსსუ-ს გაფორმებული აქვს მემორანდუმი საბავშვო ბაღების გაერთიანებასთან და 43 საბავშვო ბაღთან; ამასთანავე, აღსანიშნია, რომ დაწესებულება ზრუნავს პრაქტიკული კომპონენტის ეფექტიანად განხორციელებაზე და ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა მიმდინარე წლის მარტის თვეში უსდ-ს მიერ შემუშავებული საგრანტო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საუნივერსიტეტო სივრცეში იაპონიის საელჩოს მხარდაჭერით ბაღის მშენებლობას;

პროგრამა ვინაიდან ახალია, ჩატარდა ინტერვიუ განათლების მიმართულების სტუდენტებთან, რომლებმაც დაადასტურეს, რომ მათ სთავაზობენ სხვადასხვა კონფერენციაში ჩართვას, თუმცა ინტერვიუს დროს ხაზი გაესვა, რომ სწავლების პროცესში უფრო მეტად იქნას გამოყენებული ის მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობს პრაქტიკული, კვლევითი თუ საშემსრულებლო უნარების გამომუშავებას; ამასთანავე, პროგრამა არ ითვალისწინებს ისეთ კურსებს, რომლებიც ხელს შეუწყობდა კვლევით უნარების განვითარებას პროგრამა არ ითვალისწინებს ისეთ სასწავლო კურსს, პრაქტიკის კვლევას ან საბაკალავრო ნაშრომს, რაც სტუდენტს კვლევითი უნარების გამომუშავების საშუალებას მისცემდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- o რეკომენდებულია, პედაგოგების მიერ სწავლების პროცესში გამოყენებულ იქნას სილაბუსით განსაზღვრული ის მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას

- o რეკომენდებულია, პროგრამით გათვალისწინებულ იქნას ისეთი სავალდებულო კურსის სწავლება, რომელიც სტუდენტს გამოუმუშავებს პედაგოგიური კვლევის მეთოდებისა და პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დაგეგმვა-განხორციელებისთვის შესაბამის ცოდნასა და უნარებს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პრაქტიკის მენტორთა შერჩევა მოხდეს ზსსუ-ს მიერ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე და პრაქტიკის ეფექტიანად განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების თანამონაწილეობით;
- სასურველია, პრაქტიკის კომპონენტის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, ინტენსიურად გაგრძელდეს პრაქტიკის მენტორთა გადამზადების პროცესი

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☐	☒	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ზსსუ-ს სკოლამდელი განათლების პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსებში სკოლამდელი განათლების დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნის, უმაღლესი განათლების საბაკალავრო საფეხურის შესაბამისად ძირითადად გამოიყენება ისეთ სწავლება-სწავლის მეთოდები, როგორიცაა: ლექცია, სემინარი, დისკუსია, ჯგუფური მუშაობა, პრაქტიკული საქმიანობა, პრეზენტაცია/დემონისტრირება, როლური თამაში/სიმულაცია, ინდივიდუალური (დამოუკიდებელი) მუშაობა, პროფესიული პრაქტიკა; იშვიათად წარმოდგენილია სასწავლო კურსებში პროექტზე დაფუძნებული სამუშაო, თუმცა აღსანიშნია, რომ სკოლამდელი განათლების დარგობრივი მახასიათებელი სწავლება-სწავლის მეთოდებიდან ასევე მოიცავს ,,პრაქტიკის კვლევას'', ,,ქოუჩინგს'' რომელთა გამოყენებაც არ დასტურდება ზსსუ-ს პროგრამაში;

პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ ისინი სწავლების პროცესში იყენებენ სხვადასხვა მეთოდებს, რომლებიც მიმართულია სტუდენტთა კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე და ამასთანავე სტუდენტთა სასწავლო პროცესში ინტერაქციაზე; თუმცა ამავდროულად, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები აჩვენებს, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ ძირითადად გამოიყენება ისეთი სწავლების მეთოდები, როგორიცაა ლექცია, პრეზენტაცია და ისურვებდნენ მეტ პრაქტიკულ აქტივობას;

ზსსუ-ს დამტკიცებული აქვს სსსმ სტუდენტთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შედგენის მექანიზმები, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესში სტუდენტთა შეუფერხებელი ჩართულობის მიზნით სასწავლო პროცესის დაგეგმვას მათი შესაძლებლობების, საჭიროებებისა და აკადემიური დონის გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები (სწავლება-სწავლის მეთოდები);
- ინტერვიუს შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სკოლამდელი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად, სწავლება-სწავლის მეთოდებიდან გამოყენებულ იქნას პრაქტიკის კვლევა, ქოუჩინგი;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ხელი შეუწყეთ (პერსონალის ტრენინგები, დაკვირვება ლექციებსა და სწავლების მეთოდებზე) სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი და ინტერაქციული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებას;

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☐	☒	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სკოლამდელი განათლების პროგრამასა და ზსსუ-ს ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში'' შეფასების სისტემა წარმოდგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების შესაბამისად, თუმცა აღსანიშნია, რომ რიგი სასწავლო კურსის სილაბუსი (მაგალითად, ,,ბავშვის ფსიქოლოგია, სწავლისა და განვითარების თეორიები'', ,,ეფექტური კომუნიკაცია'', ,, საბავშვო ლიტერატურა'', ,,ქართული ლიტერატურის ისტორია (ზოგადი კურსი)'', ქართული ფოლკლორი და ა.შ.) წარმოდგენილი შეფასების სისტემა არ არის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი;

ზსსუ-ში შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობდეს; სასწავლო კომპონენტის შემთხვევაში შუალედურ შეფასებას ეთმობა არაუმეტეს 70, ხოლო დასკვნით შეფასებას - არაუმეტეს 30 ქულა. შუალედური შეფასება მოიცავს: შუალედური გამოცდის შეფასებას და

მიმდინარე შეფასებებს. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციების ზღვრები. ამასთანავე, დაწესებულებას რიგ სასწავლო კურსში განსაზღვრულია შეფასების მეთოდებში (პრეზენტაცია, რეფერატი...) მინიმალური კომპეტენციის ზღვრებიც, რომელთა გადალახვაც სილაბუსის ჩანაწერისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი N3 ბრძანების შესაბამისად, სტუდენტისთვის სავალდებულოა, რათა განხორციელდეს კრედიტის მინიჭება; თუმცა აღსანიშნია, რომ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად ირკვევა, რომ შეფასების მეთოდებში (პრეზენტაცია, რეფერატი) მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ვერ გადალახვა არ ახდენს გავლენას კრედიტის მინიჭებაზე; ასევე, სილაბუსებში შეინიშნება ისეთი ტიპის ხარვეზები, როდესაც შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტებში განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომლებიც ქულებში და პროცენტებში არის გამოსახული, ერთმანეთთან შეუსაბამოა (მაგალითად, ბავშვის ფსიქოლოგია, სწავლისა და განვითარების თეორიები და ა.შ.)

სილაბუსებში იშვიათ შემთხვევაში არ არის ან ნაწილობრივ არის წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები (მაგალითად, სასწავლო კურსში ,,შესავალი პედაგოგიკურ აზროვნებაში'' პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა, სასწავლო კურსში ,,მეცნიერება და სახალისო ექსპერიმენტები'' რეფერატისა და პრეზენტაციის შეფასების რუბრიკები და ა.შ.)

ამასთანავე, კრიტერიუმები და შეფასების რუბრიკა რიგ შემთხვევაში უფრო მკაფიოდ, შეფასების მეთოდის შესაბამისად არის გასწერი (მაგალითად, სილაბუსში ,,ბავშვის ფსიქოლოგია, სწავლისა და განვითარების თეორიები'' ჯგუფური მუშაობისთვის განსაზღვრული კრიტერიუმები, ასევე სხვადასხვა კურსის ფარგლებში პრაქტიკული სამუშაოს კომპონენტისთვის განსაზღვრული შეფასების მეთოდების - ჯგუფური მუშაობა, როლური თამაში, სიტუაციის ანალიზის კრიტერიუმები);

სასწავლო კურსის/საგნის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ძირითად შემთხვევაში ითვალისწინებს კურსის/საგნის სპეციფიკას, თუმცა დასკვნითი გამოცდის შემთხვევაში ძირითადად გამოყენებულია სტანდარტიზებული მიდგომა და დასკვნითი გამოცდა უმეტესწილად მოიცავს თეორიულ საკითხებს;

სტუდენტებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ ისინი იღებენ მათი პროფესორ-მასწავლებლებისგან შესაბამის უკუკავშირის ძლიერი და გსაუმჯობესებელი მხარეების შესახებ; ამასთანავე, შეფასების შესახებ ინფორმაციას აწვდიან როგორც ლექტორები, ასევე ასახულია სტუდენტის ელექტრონულ პორტალზე; აღსანიშნია, რომ სტუდენტებთან ინტერვიუმ არ დაადასტურა, რომ ისინი იცნობენ შეფასების გასაჩივრების წესსა და პროცედურებს; თვითშეფასების თანახმად, *,,უნივერსიტეტში არსებობს შეფასების გასაჩივრების მოქნილი და გამჭვირვალე სისტემა (სტრუქტურული ერთეული ,,სტუდენტთა მომსახურების ცენტრი", სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის პროგრამას LMS -სს დაემატა ,,ფანჯარა",* რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის უკუკავშირის მიწოდებით)'', ასევე ზსსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში'' განსაზღვრული აქვს მიღებული შეფასებების გასაჩივრების პროცედურები, რომელთა შესახებაც მნიშვნელოვანია გაიზარდოს სტუდენტთა ინფორმირება.

ზსსუ-ში დანერგილია პლაგიატის გამოვლენის სპეციალური პროგრამა Turnitin და შემუშავებულის მისი გამოყენების წესი და პლაგიატზე რეაგირების მექანიზმები;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსის სილაბუსები
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- პლაგიატის წესი
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- ვებგვერდი

რეკომენდაციები:

· რეკომენდებულია, სასწავლო კურსის სილაბუსში წარმოდგენილი შეფასების სისტემა სრულად მოვიდეს შესაბამისობაში მოვიდეს მოქმედ კანონმდებლობასთან

· რეკომენდებულია, შეფასების მეთოდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსებობის შემთხვევაში მისი გადალახვის სავალდებულოების შესახებ მოხდეს შესაბამისი სამიზნე ჯგუფების (სტუდენტები, პროგრამის განმახორციელებლები) ინფორმირება და მისი შესრულების კონტროლი;

· რეკომენდებულია, ჩამოყალიბებულ იქნას სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებული მკაფიო კრიტერიუმები, რათა მიღწეულ იქნას შეფასების ობიექტურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა და სწავლის შედეგების მიღწევის გაზომვადობა;

· რეკომენდებულია, ინსტიტუციამ გაზარდოს სტუდენტთა ინფორმირება მიღებული შეფასების აპელაციის წესისა და პროცედურების შესახებ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- –

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტების შეფასება	☐	☐	☒	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში გამოიკითხა მომიჯნავე დარგის სტუდენტები, ვინაიდან, სკოლამდელი განათლების საგანმანათლებლო პროგრამა ახალია, არ ჰყავს კურსდამთავრებულები და აქტიური სტუდენტები.

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტის, თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ უსდ ქმნის სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს.

უსდ-ში სტუდენტთათვის კონსულტაციის გაწევისა და ინფორმაციის მიწოდების მიზნით, შექმნილია სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეული. დაწესებულების აკადემიური,

მოწვეული თუ ადმინისტრაციული პერსონალი კონსულტაციას უწევს სტუდენტებს სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებასთან, კარიერული განვითარების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. სტუდენტური მომსახურებისა და უწყვეტი განათლების ცენტრები განსაკუთრებით სწორედ ამ უკანასკნელზე არიან ორიენტირებული და ეტაპობრივად თუ სტუდენტის მიმართვის საფუძველზე, ინფორმაციას აწვდიან დაინტერესებულ პირებს.

თვითშეფასების დოკუმენტისა და ინტერვიუს შედეგების მიხედვით, სილაბუსს, კურსთან დაკავშირებულ დეტალებს ლექტორები სტუდენტებს პირველ ლექციაზე აცნობენ, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია მოითხოვოს ინდივიდუალური კონსულტაცია. პროგრამაში ჩართული პირების საკონსულტაციო საათები განისაზღვრება სემესტრის დასაწყისში და საჯარო, ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

უსდ-ში სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და საკომუნიკაციო საშუალებად უმეტესწილად, გამოიყენება კორპორატიული ელფოსტა, ელექტრონული მართვის პროგრამა - LMS. სიახლეები დაგეგმილი ღონისძიებების, პროექტების, სტიპენდიებისა და სხვა პროფესიული შესაძლებლობების შესახებ ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ.გვერდსა და სოციალურ ქსელშიც.

LMS სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის პროგრამა გარდა ლექტორსა და სტუდენტს შორის საკომუნიკაციო ფუნქციისა, სხვა მიზნითაც გამოიყენება: სასწავლო მასალების, ელექტრონული რესურსების განთავსება, დავალებების ატვირთვა და შეფასების სისტემაში ასახვა, დავალებაზე წერილობითი უკუკავშირის მიცემა, სტუდენტური გამოკითხვების ჩატარება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარი სტუდენტებს ეგზავნებათ ელექტრონული პორტალის ან კორპორატიული მეილის საშუალებით (Google Forms-ის ბმულის სახით). უმეტესწილად, გამოკითხვა სემესტრულია და ემსახურება სასწავლო კურსების, მათი ეფექტურობის, ლექტორების, სასწავლო რესურსების, გარემოს შეფასებას. სტუდენტების თქმით, შევსებული კითხვარის საშუალებით მიაწოდეს ინფორმაცია უნივერსიტეტის წარმომადგენლებს სტუდენტური სივრცეების მოწყობის სურვილის, საბიბლიოთეკო სივრცეში დამატებითი მოწყობილობების საჭიროების შესახებ (იგულისხმება ქსერო ასლის გადაღების შესაძლებლობა, სტუდენტთა დროისა და რესურსის დაზოგვის მიზნით - ამჟამად, ორივე საკითხი გათვალისწინებულია). გამოკითხვის შედეგებს ლექტორები იღებენ ანონიმური და ზოგადი ფორმით.

სტუდენტები საგამოცდო ნამუშევარზე, დავალებებზე უკუკავშირისთვის ლექტორს მიმართავენ და საკითხებს განიხილავენ ინდივიდუალურად ან ჯგუფთან ერთად (სპეციფიკიდან გამომდინარე). აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ გამოკითხულმა სტუდენტებმა ვერ გაიხსენეს შემთხვევა, როცა საგამოცდო თუ სემესტრული შეფასება გაასაჩივრეს, მაგრამ კითხვაზე - როგორ მოიქცეოდნენ მსგავსი საჭიროების შემთხვევაში, პასუხობენ, რომ ალბათ, ლექტორს მიმართავდნენ. ექსპერტთა ჯგუფს შეექმნა შთაბეჭდილება, სტუდენტები არასაკმარისად ინფორმირებულნი არიან უსდ-ში არსებული გასაჩივრების მექანიზმების შესახებ (რეკომენდაცია იხ. მე-2 სტანდარტის შესაბამის ნაწილში).

ინტერვიუს შედეგების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სტუდენტების უმრავლესობას არ სმენია თვითშეფასების ჯგუფის შესახებ. ჯგუფის წევრებმა ხაზი გაუსვეს გუნდური მუშაობის როლსა და აუცილებლობას. სამუშაო პროცესში სტუდენტებისა და საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულების ჩართვა მნიშვნელოვანი ასპექტია, რადგან აღნიშნული

კონტიგენტი კარგად იცნობს და შეუძლია შეაფასოს გარემო, სერვისები, შეთავაზებული შესაძლებლობები, პროგრამა თუ სასწავლო პროცესი.
ბიბლიოთეკის სერვისებით სარგებლობა სტუდენტებს თანამშრომელთან მიმართვის საფუძველზე შეუძლიათ. გამოკითხულთა თქმით, წიგნის საჭიროების შესახებ სტუდენტი აწვდის ინფორმაციას ბიბლიოთეკის თანამშრომელს კორპორატიული მეილის საშუალებით, იმავე ან მეორე დღეს სტუდენტს შეუძლია წიგნი გაიტანოს ადგილზე სარგებლობისთვის, გადაიღოს ქსერო-ასლი ან მიიღოს წიგნის ელექტრონული ვერსია. ამ უკანასკნელის შესახებ საუბრისას სტუდენტები იხსენებენ პანდემიის პერიოდს, როცა შეძლებისდაგვარად მოკლე დროში ციფრულდებოდა საჭირო ლიტერატურა.
ბიბლიოთეკის თანამშრომელთა მოვალეობაში შედის, ასევე, სტუდენტთა კონსულტაცია და ინფორმირება საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებისა და მათი სარგებლობის წესების შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტები ნაკლებად ან საერთოდ არ არიან ინფორმირებული სამეცნიერო ბაზების შესახებ, ვერ იხსენებენ გამოყენების შემთხვევას და აღნიშნავენ, რომ ჯერ მსგავსი საჭიროება არ ჰქონიათ. აღნიშნული საკითხის გამოსწორებისა და გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, თანამშრომელთა გადამზადება და პრაქტიკული გამოცდილების შეძენა, რათა უკეთ შეძლონ კონსულტაციის გაწევა სტუდენტებისთვის, შემდეგ კი სტუდენტებთან სამეცნიერო ბაზების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება.
გამოკითხული აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები არ ჩართულან კონფერენციებში, სამეცნიერო აქტივობებში. აღნიშნავენ, რომ ინფორმირებული არიან საერთაშორისო თუ ადგილობრივი პროექტების, კონფერენციების, გაცვლითი პროგრამებით სარგებლობის შესაძლებლობების შესახებ, მაგრამ შესამჩნევია დაბნეულობა და ინფორმაციის ნაკლებობა, - სამომავლოდ განიხილავენ მსგავსი გამოცდილების მიღების შესაძლებლობას. **ინტერვიუს შედეგად ასევე გაირკვა, რომ კურსდამთავრებულებს მეტად აქვთ მსგავსი გამოცდილება: პანდემიის პერიოდში გაიარეს საერთაშორისო სამთვიანი კურსი (კოგნიტური ფსიქოლოგიის).**

ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან საუბრისას აღინიშნა, რომ მიუხედავად იმისა, ჯერ არ აქვთ საერთაშორისო უნივერსიტეტებთან სკოლამდელი განათლების პროგრამის მიმართულებით თანამშრომლობის შეთანხმებები, სტუდენტების მიღების შემდეგ, ამ კუთხით გააქტიურებაც იგეგმება (საუბრისას კონკრეტული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები არ დასახელებულა).
უნივერსიტეტში მოქმედებს შემდეგი ცენტრები: კარიერული განვითარების ცენტრი (რომელიც აორგანიზებს და ატარებს კარიერის დაგეგმვის კურსებს, კონსულტაციას უწევს სტუდენტებს, სთავაზობს დასაქმების შესაძლებლობებს), უცხო ენათა შემსწავლელი ცენტრი, კურატორის ინსტიტუტი (რომლის წევრებიც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლები არიან და სტუდენტს ეხმარებიან სასწავლო სივრცეში ინტეგრაციაში, საკომუნიკაციო პროცესის გამარტივებაში), ბავშვის უფლებათა ცენტრი, ფსიქოლოგიის ცენტრი, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ცენტრი (სწავლების პროცესში გამოიკვეთა პრობლემები აფხაზ სტუდენტთა მიერ გამოცდების ქართულ ენაზე ჩაბარების კუთხით. ენის დაძლევისა და შედეგების გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტი სთავაზობს აფხაზ

სტუდენტებს ქართული ენის დამატებით კურსებს), შემოქმედებითი მეწარმეობისა და განათლების ცენტრი.

სტუდენტები განსაკუთრებულად ძლიერ მხარეებად ასახელებენ ლექტორების დამოკიდებულებასა და ჩართულობას სწავლების პროცესში, შემდგომ - დასაქმების ეტაპზეც. კურსდამთავრებულთა თქმით, დამსაქმებლებთან, კომუნიკაციაში აქტიურად იყო ჩართული უსდ-ს დეკანატი და საჭიროებისამებრ აკადემიური პერსონალიც. მათივე აზრით, გასაუმჯობესებელ მხარედ შეიძლება განხილულ იქნეს პრაქტიკული ნაწილის ხვედრითი წილის ზრდა, კერძოდ, დამსაქმებელი ორგანიზაციების (ამ შემთხვევაში, სკოლებისა და სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების) მართვის ადმინისტრაციული მხარე - სამომავლო საქმიანობის გამარტივებისა და წინასწარი მზადყოფნის არსებობის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის პროგრამა LMS
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებ.გვერდი (შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი)
- გამოკითხვის ჩატარების წესი;
- სტუდენტურ გამოკითხვათა შედეგები;
- ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ფუნქციები;
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

- საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობის მაჩვენებლის გასაზრდელად, მიზანშეწონილი იქნება თანამშრომელთა პრაქტიკული გადამზადება, საინფორმაციო შეხვედრების დაგეგმვა სტუდენტებთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- თვითშეფასების ჯგუფში, გარდა პროფესიული განათლების პროგრამისა, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართვა და პროცესში ჩართულობა წევრის ამპლუაში მუშაობაც განმავითარებელი შედეგის მომტანი იქნება პროგრამისთვის.

- საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში სტუდენტთა ჩართვისა და აქტიურობის მიზნით, საჭიროა, დამატებითი ღონისძიებების ორგანიზება, სტუდენტთა ინფორმირება და წახალისება.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☐	☒	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

10. წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით

განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი პირები არიან აკადემიური და მოწვეული პერსონალი (პროგრამაში აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭოს დადგენილება #1, 11.01.2019 „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი“).

საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობაა 30, აქედან 16 აკადემიური და 14 მოწვეული პერსონალი. აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან წარმოადგენს 16/14. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობაა 12. აღნიშნული გარემოება ნათლად არ იკითხება პერსონალის CV-ში, შესაბამისად აუცილებელია პირადი საქმეების განახლება.

უშუალოდ ადრეული განათლების მიმართულებით კურსებს უძღვება ჯამში 23 ადამიანი, აქედან აკადემიური პერსონალი 7, ხოლო 16 მოწვეული. წარმოდგენილი CV-სა და პირადი საქმეების ანალიზმა აჩვენა, რომ ადრეული განათლების მეთოდოლოგიური კურსების განმახორციელებელი პერსონალის აკადემიური ხარისხი არ უკავშირდება ადრეულ განათლებას. ეს დანაკლისი როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალის ნაწილის შემთხვევაში კომპენსირდება პროფესიული საქმიანობით და ადრეული განათლების, ან ბავშვთა უფლებების საკითხებზე ტრენინგებსა და სემინარებში მონაწილეობით. თუმცა, რიგ შემთხვევაში, ადრეული განათლების მეთოდოლოგიის კურსების განმახორციელებელ პერსონალს, არც კვალიფიკაცია და არც სამუშაო გამოცდილება დარგის მიმართულებით არ უფიქსირდება. ეს გამოცდილება, უმეტეს შემთხვევაში, სასკოლო საფეხურთან არის

დაკავშირებული, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ადრეული განათლების მიდგომებისგან. ეს გარემოება, როგორც გამოწვევა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების დროსაც გამოიკვეთა. ადგილობრივი პერსონალის დარგობრივი კვალიფიკაციის საკითხს, როგორც გამოწვევას ინტერვიუს დროს შეეხნენ როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ასევე პროგრამის თანახელმძღვანელი და კონსულტანტი. აღნიშნულის გათვალისწინებით, რეკომენდირებულია, გუნდის გაძლიერება ადრეული განათლების მიმართულებით კვალიფიციური პერსონალით, რომელთა როგორც სამეცნიერო, ასევე უშუალო სამუშაო გამოცდილება პირდაპირ უკავშირდება ადრეული განათლების სფეროს.

აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალის ნაწილს (ხშირ შემთხვევაში ეს პერსონალი პროგრამაში რამდენიმე კურსსაც კი კითხულობს), რომელთა საგნები უშუალოდ ადრეული განათლების მეთოდოლოგიის საკითხებს ეხება, წარმოდგენილ CV-ში მიმდინარე სამუშაო ადგილად უფიქსირდებათ სხვა ქალაქები (მაგ: ქუთაისი, თბილისი). ინტერვიუების დროს ასევე აღინიშნა, რომ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის გაძლიერების მიზნით, ხშირ შემთხვევაში კურსებში ლექტორები წყვილში არიან წარმოდგენილები ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალთან ერთად (თუმცა ვერც დოკუმენტაციაში და ვერც ინტერვიუების დროს ვერ დადგინდა წყვილთა შორის საქმიანობების ან საათობრივი დატვირთვის გადანაწილება). შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს მოწვეული პერსონალისთვის სასტუმრო, სადაც მათ შეუძლიათ დარჩენა;

ზოგ შემთხვევაში, აკადემიური ან მოწვეული პერსონალი დაწყვილებულია ბაღებში მომუშავე პრაქტიკოსებთან, რაც თავის მხრივ კარგი გამოცდილებაა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრაქტიკოსები, არიან არა აღმზრდელ-პედაგოგები (ანუ საბავშვო ბაღებში უშუალოდ პედაგოგიური პრაქტიკის განმახორციელებლები), არამედ ადმინისტრაციის რგოლის წარმომადგენლები. არადა ეს პერსონალი არა ადრეული განათლების მართვასთან დაკავშირებულ, არამედ მეთოდოლოგიის ან პრაქტიკის კურსებში არიან ჩართულები. რეკომენდირებულია, ადრეული განათლების მეთოდოლოგიის კურსებში პრაქტიკული გამოცდილების პერსონალის ჩართვის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭოს უშუალოდ ბაღში საგანმანათლებლო პროცესის განმახორციელებელ პერსონალს კურსების შინაარსის შესაბამისად. ვერც წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და ვერც ინტერვიუების დროს ვერ მოხერხდა იმისი დადგენა, თუ რა პრინციპით მოხდება დაწყვილებულ პერსონალს შორის

საქმიანობების ან საათობრივი დატვირთვის გადანაწილება, მხოლოდ ის დაფიქსირდა, რომ აკადემიური პერსონალი კურსების თეორიულ ნაწილს, ხოლო პრაქტიკოსები პრაქტიკულ ნაწილს გაუძღვებიან, არადა კურსების ასეთი გაყოფა თავის მხრივ ნაკლებად წარმატებული პრაქტიკაა.

როგორც მტკიცებულებად წარმოდგენილი დოკუმენტების (CV, პირადი საქმეები) შესწავლისას გამოიკვეთა, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, ძირითად, ადგილობრივ სამეცნიერო საუნივერსიტეტო ჟურნალებშია გამოქვეყნებული. ნაშრომების (სტატიების) თემატიკა, უმეტეს შემთხვევაში ან ზოგადად განათლების საკითხებს, ან სასკოლო საფეხურის განათლების საკითხებს მოიცავს, მცირედ არის წარმოდგენილი ნაშრომები ადრეული განათლების თემატიკის მეთოდოლოგიის საკითხებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე დღის წესრიგში დგება პერსონალის გაძლიერების საკითხი დარგობრივი მიმართულებით და ასევე, აკადემიური პერსონალის მხარდაჭერა და გაძლიერება ადრეული განათლების მიმართულებით კვლევითი საქმიანობის ხელშესაწყობად საერთაშორისო პლატფორმებში ჩართვის მიზნით.

უნივერსიტეტმა დამატებით მტკიცებულების სახით წარმოადგინა პერსონალის დატვირთვის რეესტრი, თუმცა ჩამონათვალში უმეტესად ის პერსონალია, რომელთა გვარები არ არის სკოლამდელი საბაკალავრო პროგრამის მეთოდოლოგიის კურსების განმახორციელებელთა სიაში.

გარკვეული შეუსაბამობა და ბუნდოვანება დაფიქსირდა პროგრამის ხელმძღვანელთან დაკავშირებით. თავდაპირველ მტკიცებულებად წარმოდგენილ ერთ-ერთ დოკუმენტში (უშუალოდ პროგრამაში) ხელმძღვანელად და თანახელმძღვანელად მითითებული პირები, კიდევ ერთ გამოგზავნილ დოკუმენტში თანახელმძღვანელად და კონსულტანტად არიან წარმოდგენილები, თუმცა დოკუმენტებში არ ჩანდა პროგრამის ხელმძღვანელის ვინაობა. ინტერვიუებიდან და დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამას ჰყავს თანახელმძღვანელი და მოწვეული კონსულტანტი, ასევე ხელმძღვანელი, რომელიც ინტერვიუს არ ესწრებოდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

უნივერსიტეტის მხრიდან დამატებით მტკიცებულებად წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ პროგრამის სამუშაო ჯგუფი 2021 წელს შეიქმნა, ხოლო ხელშეკრულება პროგრამის ხელმძღვანელთან 2023 წლის 1 მარტს გაფორმდა. პროგრამის

სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანების დოკუმენტში ამჟამინდელი ხელმძღვანელი არ არის წარმოდგენილი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ იგი არ იყო ჩართული პროგრამის მომზადების პროცესში. ეს გარემოება ასევე ეწინააღმდეგება "შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამაგისტრო/საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის დებულებას", სადაც განსაზღვრულია ხელმძღვანელის მხრიდან საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების უზრუნველყოფისა და ახალი პროგრამის შემუშავების ინიცირების აუცილებლობა.

პროგრამის ხელმღვანელს აქვს განათლების აკადემიური დოქტორის ხარისხი. როგორც მისი CV-ს საფუძველზე ჩანს, მისი არც პროფესიული არც სამეცნიერო საქმიანობა არ უკავშირდება ადრეული განათლების სფეროს. მის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ნაშრომები არ არის ადრეული განათლების თემაზე. იგი აფილირებულია ზუგდიდის უნივერსიტეტთან, თუმცა ამავდროულად არის გელათის სასულიერო აკადემიის და სემინარიის პროფესორი და ლექციებს კითხულობს როგორც ამ სასწავლებელში, ასევე ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პროგრამის თანახელმძღვანელის ძირითადი სამუშაო ადგილიც ქალაქი ქუთაისია, ამ გარემოების გათვალისწინებით დღის წესრიგში დგება რამდენად იქნება უზრუნველყოფილი პროგრამის განვითარება და მდგრადობის საკითხი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პროგრამის ხელმძღვანელს ადრეული განათლების მიმართულების არცერთი კურსი არ მიჰყავს. პროგრამას ჰყავს თანახელმძღვანელი, რომელიც არ არის აფილირებული ზუგდიდის უნივერსიტეტთან და ასევე კონსულტანტი, ინტერვიუს სწორედ ისინი ესწრებოდნენ. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს ჩატარება ვერ მოხერხდა. რეკომენდირებულია, გაძლიერდეს პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში, განხორციელებასა და მონიტორინგის პროცესში;

როგორც აღინიშნა, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის დებულება, თუმცა ამ დოკუმენტში არ არის გამიჯნული ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის ფუნქციები და არ ჩანს კონკრეტულად რა ვალდებულებები აქვს თანახელმძღვანელს. ასევე, არ ჩანს რა ფუნქციები აქვს პროგრამის კონსულტანტს.

| **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)** | **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა** | **მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]** | **მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]** | **მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი** |

სულ აკადემიური პერსონალი	16	7	0	10
- პროფესორი	2	2	0	2
- ასოცირებული პროფესორი	10	3	0	3
- ასისტენტ-პროფესორი	0	-	0	-
- ასისტენტი	0	-	0	0
მოწვეული პერსონალი	16	11	0	_
სამეცნიერო პერსონალი			0	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასება;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები, პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის/მოწვეული ექსპერტის ხელშეკრულებები, პირადი საქმე
- "შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამაგისტრო/საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის დებულებას"
- აკადემიური პერსონალის ზღვრული დატვირთვის წესი
- აკად. პერსონალის საათობრივი დატვირთვა
- აკადემიური საბჭოს დადგენილება #1, 11.01.2019 „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი"
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- გაძლიერდეს პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში, განხორციელებასა და მონიტორინგის პროცესში;
- ცხადად გაიწეროს პროგრამის თანახელმძღვანელის ფუნქციები და ვალდებულებები და გაიმიჯნოს ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის ფუნქციები;

- ფუნქცია-მოვალეობების ეფექტურად შესასრულებლად, შემუშავდეს მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;
- რეკომენდირებულია, გუნდის გაძლიერება ადრეული განათლების მიმართულებით კვალიფიციური პერსონალით, რომელთა როგორც სამეცნიერო, ასევე უშუალო სამუშაო გამოცდილება პირდაპირ უკავშირდება ადრეული განათლების სფეროს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☐	☐	☒	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☐	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის შეფასების წესი. უნივერსიტეტის მხრიდან მტკიცებულებად წარმოდგენილი დოკუმენტაციაში იკითხება, რომ პერსონალის საქმიანობის შეფასება შემდეგ აქტივობებს გულისხმობს: შესრულებული სამუშაოს შეფასების დაგეგმვა, ასევე შესრულებული სამუშაოს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება და შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგების ანალიზი. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებს უნივერსიტეტის აფილირებულ, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს. აფილირებული და აკადემიური პერსონალისთვის განსაკუთრებულ მოთხოვნად ხაზგასმულია სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობა, თუმცა პოზიციების შესაბამისად ეს მოთხოვნები განსხვავებულია. პერსონალი აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ანალიზს ახდენს უნივერსიტეტის სამეცნიერო სამსახური.

უნივერსიტეტში მოქმედებს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული წახალისების მექანიზმი. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში ასევე ასახულია საერთაშორისო პროექტები, რომლებიც უნივერსიტეტის პერსონალს პროფესიული განვითარების საშუალებას აძლევს. თუმცა კრიტიკულად მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს პერსონალის კვლევით საქმიანობას ადრეული განათლების მიმართულებით და სტატიების საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში დაბეჭდვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები;

- პერსონალის პირადი საქმეები;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი გზამკვლევი;

რეკომენდაციები:

- გაძლიერდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ადრეული განათლების მიმართულებით საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში დაბეჭდვის მიზნით.
- დაიგეგმოს ღონისძიებები პროგრამის განმახორციელებელი როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალის ადრეული განათლების მიმართულებით კომპეტენციების გაძლიერებისა და მხარდაჭერის მიზნით;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☐	☒	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით. ბიბლიოთეკის დათვალიერების დროს, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა პროგრამის ფარგლებში გათვალისიწინებული ლიტერატურის ხელმისაწვდომობა, უმეტეს შემთხვევაში წიგნების მოძიება მოხერხდა, თუმცა ერთი წიგნი ბაზაში ვერ მოიძებნა.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სტუდენტებისა და სამეცნიერო პერსონალის წვდომას საერთაშორისო უცხოურ სამეცნიერო ბაზებზე. თუმცა, როგორც ვიზიტის დროს დადგინდა, ბიბლიოთეკის პერსონალს გაუჭირდა სტუდენტების მიერ ბაზების გამოყენების ინტენსივობის დასახელება.

ადგილზე დათვალიერებისას დადგინდა, რომ სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ლაბორატორიები, მონიტორით აღჭურვილი აუდიტორიები, თავისუფალი სივრცე.

უნივერსიტეტს გააჩნია საცხოვრებელი კორპუსი, რომლის გამოყენებაც სტუდენტებს შეუძლიათ საჭიროებისამებრ. ეს სივრცე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გალიდან ჩამოსული სტუდენტებისთვის.

უნივერსიტეტი ასევე იმ სტუდენტებს, რომლებიც ადრეული ასაკის ბავშვების მშობლები არიან სთავაზობს სპეციფიურად მოწყობილ ფიზიკურ გარემოს, სადაც სტუდენტ მშობლებს შეუძლიათ ლექციების პერიოდში ბავშვის დატოვება ამ მიზნით სპეციალურად მიმაგრებულ თანამშრომელთან. აღნიშნული სივრცის უნივერსიტეტის ფარგლებში არსებობა უნივერსიტეტის მხრიდან წარმატებულ პრაქტიკად შეიძლება განვიხილოთ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მატერიალური და ტექნიკური რესურსი;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა;

- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- გადამოწმდეს და უზრუნველყოფილი იქნას ყველა კურსის ძირითადი ლიტერატურის არსებობა ბიბლიოთეკაში

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☐	☒	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამას არ აქვს დამოუკიდებელი ბიუჯეტი. პროგრამის ხარჯები გათვალისწინებულია სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ სამწლიან სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების ბიუჯეტში.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მტკიცებულებების სახით მოცემულია წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 28 დეკემბერს #40 დადგენილებით დამტკიცებული

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცინერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის 2022 წლის ბიუჯეტი.

პროგრამის საჭიროებებს უზრუნველყოფს საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსი. როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, სკოლამდელი განათლების პროგრამა არის რეგიონის განვითარების თვალსაზრისით პრიორიტეტული პროგრამა, შესაბამისად უნივერსიტეტს მუნიციპალიტეტის მხრიდან აქვს მხარდაჭერა. ადმინისტრაცია ვარაუდობს, რომ პროგრამის დაფინანსება სამომავლოდ გაორმაგდება, რაც კიდევ უფრო გაამარტივებს პროგრამის განვითარებაზე ზრუნვას.

აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულია სამეცნიერო საქმიანობისთვის და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხარჯები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცინერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის 2022 წლის ბიუჯეტი;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სასწავლო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს უძღვება უნივერსიტეტის მართვის ორგანო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს როგორც ბოლონიის პროცესის ფარგლებში

შემუშავებული რეგულაციებით, ისე „უმაღლესი განათლების შესახებ“ და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონებით, უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით, სამსახურის დებულებით და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. სამსახურის დებულების თანახმად, მისი საქმიანობის ძირითად მიზანსა და ამოცანას შეადგენს ინსტიტუციაში ხარისხის კულტურის დამკვიდრება და ამ მიზნით, ხელს უწყობს ბოლონიის პროცესების პრინციპების დანერგვას, საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში უნივერისტეტის ინტეგრაციას, ახორციელებს საუნივერსიტეტო სერვისების, სასწავლო და კვლევითი პროცესების შეფასება-მონიტორინგს, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვას, სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლებას, დაწესებულების ადამიანური და მატერიალური რესურსების შეფასებასა და განვითარებას, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების ჯეროვნად განხორციელებას უნივერსიტეტის ფარგლებში და სხვ.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტის ხედვას ხარისხის პოლიტიკის დანერგვისა და მართვის მიმართულებით. დოკუმენტი დეტალურად აღწევს ინდივიდუალური თუ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის/შერჩევის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურებს, მეთოდოლოგიას, თვითშეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიას, პროგრამისა თუ თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში ჩართული დაინტერესებული მხარეების უფლება-მოვალეობებს, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებს, პროგრამისა თუ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცედურებს, ხარისხის კვლევის მექანიზმებს და ა.შ. ამავე დოკუმენტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება PDCA - დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე - უწყვეტი ციკლის პრინციპებს და მოიაზრებს თითოეული ეტაპის დაინტერესებული მხარეების ჩართულობით განხორციელებას.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს, ვიზიტის მიმდინარეობისას, არ ჰქონდა საშუალება გასაუბრებოდა პროგრამის ხელმძღვანელს. თუმცაღა, პროგრამის თანახელმძღვანელთან და კონსულტანტთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათი ჩართულობა პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში დაბალი იყო. შესაძლოა, ამითაცაა განპირობებული მაგ., პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისა და კურიკულუმის რუკაში არსებული შინაარსობრივი უზუსტობები და შეუსაბამობები. აღსანიშნავია, რომ პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუირების

პროცესშიც მსგავსი შედეგები დაფიქსირდა. უნივერსიტეტში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებიდან მათ მიერ მხოლოდ გამოკითხვების არსებობა დაფიქსირდა. თუმცაღა, გამოკითხვის შედეგები როგორც პერსონალს, ისე სტუდენტებს, მათივე თქმით არ მიეწოდებათ. მაგ., წარმოდგენილი პროგრამისთვის, რომელიც ახალია, ჩატარებულია შრომის ბაზრის კვლევა. თუმცაღა, ბაზრის კვლევის შედეგებს პერსონალი არ გაცნობია. ასევე, გამოიკვეთა, რომ დაბალია დაინტერესებული მხარეების ჩართულობა სხვადასხვა პარამეტრით პროგრამის შეფასების პროცესში. რეკომენდებულია, გაიზარდოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების პროცესის დაგეგმვის, რელევანტური შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასებების განხორციელების პროცესში.

მნიშვნელოვანი აღინიშნოს, რომ პროგრამის თანახელმძღვანელი (ასევე, კონსულტანტი) სრულყოფილად არ იცნობს პროგრამის ფარგლებში მასზე და ხელმძღვანელზე დაკისრებულ მოვალეობებს (მაგ., პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესება და რევიზია; პროგრამის ყოველსემესტრული თვითშეფასების ფორმის წარმოება, შევსება და შესაბამისი მონაცემების გაანალიზება; სამწლიანი თვითშეფასების ანგარიშის მომზადება; 2-3 მომხიბლავი პროგრამის მოძიება როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ დონეზე; დარგის ტენდენციების ინტეგრირება საუკეთესო პროგრამების გათვალისწინებით), რომელებიც განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტის მიხედვით და შემუშავებულია პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებისთვის. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ტრენინგებისა თუ სამუშაო შეხვედრების ფორმატში უზრუნველყოს პროგრამის თანახელმძღვანელისთვის (ასევე, კონსულტანტისთვის) პროგრამის მართვასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება (გააცნოს უნივერსიტეტში დანერგილი ძირითადი მიდგომები, პრინციპები, უფლება-მოვალეობების) და მოამზადოს მმართველი გუნდი მათზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულებისთვის.

რაც შეეხება თვითშეფასების ჯგუფის ყველა წევრის აქტიურ ჩართულობას პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების და ამ მიზნით, შესაბამისი მონაცემების დამუშავებისა თუ ანალიზის პროცესში, განსაკუთრებით გამოიკვეთა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტიური ჩართულობა. პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის სხვა წევრების ჩართულობა თვითშეფასების დოკუმენტის შემუშავების პროცესში დაბალია. ჯგუფის წევრები არ იცნობენ პროგრამის ფარგლებში გამოვლენილ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. ეს უკანასკნელი კი, უმეტეს სტანდარტთა მიმართებით იდენტიფიცირებულიც არაა. თვითშეფასების ანგარიშიც, მისი შინაარსიდან გამომდინარე

ძირითადად აღწერითი ხასიათისაა და ნაკლებად მოიცავს პროგრამის, საუნივერსიტეტო სერვისების, უნივერისტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებების ანალიზსა და კრიტიკულ შეფასებას. როგორც ინტერვიუების დროს გამოვლინდა, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და პროგრამის კონსულტანტის მიერ შემუშავდა ძირითადი დოკუმენტი და გაცნობის მიზნით მიეწოდა ჯგუფის სხვა წევრებს. რეკომენდებულია, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი აქტიურად ჩაერთოს პროგრამის თვითშეფასების პროცესის დაგეგმვის, შესაბამისი მონაცემების შეგროვება-გაანალიზებისა და მიღებული შედეგების საფუძველზე თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაიზარდოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების პროცესის დაგეგმვის, რელევანტური შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასებების განხორციელების პროცესში.
- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ტრენინგებისა თუ სამუშაო შეხვედრების ფორმატში უზრუნველყოს პროგრამის თანახელმძღვანელისთვის (ასევე, კონსულტანტისთვის) პროგრამის მართვასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება (გააცნოს უნივერსიტეტში დანერგილი ძირითადი მიდგომები, პრინციპები, უფლება-მოვალეობების) და მოამზადოს მმართველი გუნდი მათზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულებისთვის.
- რეკომენდებულია, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი აქტიურად ჩაერთოს პროგრამის თვითშეფასების პროცესის დაგეგმვის, შესაბამისი მონაცემების შეგროვება-გაანალიზებისა და მიღებული შედეგების საფუძველზე თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☐	☒	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებაში დანერგილია გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებად ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციებისა და მოსაზრებების გაზიარების პრაქტიკა. ამავდროულად, დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით იყენებს გარე ექსპერტთა და პარტნიორი საგანმანათლებლო ორგანიზაციებიდან კოლეგათა შეფასებებს.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ახალი საგანმანთლებლო პროგრამა, გარე შეფასების მიზნით გადაეგზავნა ადგილობრივ ექსპერტს, შემუშავებული დასკვნა კი წარმოდგენილია თვითშეფასების ანგარიშის დანართის სახით. აღსანიშნავია, რომ დასკვნის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამა დადებითადაა შეფასებული. ექსპერტს გამოთქმული აქვს მოსაზრებები პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების და მათი შეფასების მიზნით შემუშავებული რუკის, პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის ადეკვატურობაზე. ექსპერტი დასკვნაში აღნიშნავს, რომ სასურველი იქნებოდა არჩევითი სასწავლო კურსებით პროგრამის გამრავალფეროვნება. ასევე, რეკომენდაციის სახით გამოტანილია პრაქტიკის კომპონენტის დაზუსტების საჭიროება და არჩევითი თავისუფალი კომპონენტის გაზრდა 60 კრედიტამდე, რაც პროგრამაში ამ ეტაპისთვის ბოლომდე გაზიარებული არ არის.

გარე შემფასებლის მიერ წარმოდგენილ დასკვნაში არაფერია ნათქვამი სასწავლო კურსების მიზნებსა და შედეგებზე, სწავლებისა და შეფასების მეთოდებზე, შინაარსზე, გამოყენებულ

ლიტერატურაზე და ა.შ. სასურველია, გარე შემფასებელს წვდომა ჰქონდეს პროგრამის სრულ პაკეტზე (პროგრამის აღწერილობა, სასწავლო კურსები, განმახორციელებელი პერსონალის CV-ები), რათა დასკვნაში მოხდეს პროგრამის ყველა ძირითადი და მნიშვნელოვანი კომპონენტის გაანალიზება და შეფასება. ამასთანავე, მართებულად მიგვაჩნია, პროგრამის შეფასება დარგის უცხოელი ექსპერტის მიერ, რაც ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს პროგრამაში ინტერნაციონალიზაციის კომპონენტების ზრდას (განსაკუთრებით კურიკულუმის დონეზე), ხოლო მეორე მხრივ, დაეხმარება დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამა დაუახლოვოს გლობალური შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- გარე შემფასებლის დასკვნა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის შეფასება დარგის უცხოელი ექსპერტის მიერ, რაც ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს პროგრამაში ინტერნაციონალიზაციის კომპონენტების ზრდას (განსაკუთრებით კურიკულუმის დონეზე), ხოლო მეორე მხრივ, დაეხმარება დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამა დაუახლოვოს გლობალური შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გარე შემფასებელს წვდომა ჰქონდეს პროგრამის სრულ პაკეტზე (პროგრამის აღწერილობა, სასწავლო კურსები, განმახორციელებელი პერსონალის CV-ები და ა.შ.), რათა დასკვნაში მოხდეს პროგრამის ყველა ძირითადი და მნიშვნელოვანი კომპონენტის გაანალიზება და შეფასება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება	☐	☒	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის პროცესები და პროცედურები რეგულირდება შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციით „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“. დოკუმენტი ამავდროულად აღწერს და განსაზღვრავს მონიტორინგისა და პროგრამის შეფასების პროცესში ჩართულ მხარეებს და მათ ვალდებულებებს. რეგულაციის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელის/ების, აკადემიური/მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემატური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად, მოიცავს სასწავლო პროცესის მონიტორინგს; საგანმანათლებლო პროგრამისა და მისი სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას; აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასებასა და სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებას; სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევებს, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს და ა.შ. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და პერსონალის შეფასების მიზნით მიმართავს ლექცია/სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე პროგრამის ხელმძღვანელის პერიოდული დასწრებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის ურთიერთდასწრების პრაქტიკას. კოლეგიალური დასწრების მიზანია პერსონალის ძლიერი მხარეებისა და გამოწვევების/გასაუმჯობესებელი საკითხების იდენტიფიცირება. მონიტორინგის პროცესი PDCA ციკლის შემადგენელი უწყვეტი ჯაჭვის ნაწილია.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა ახალია და შესაბამისად, მას სრული ციკლით მონიტორინგი ჯერ არ გაუვლია. თუმცაღა, საწყის ეტაპზე, დაწესებულების მიერ განხორციელებულია შრომის ბაზრის კვლევა, რათა პირველ ეტაპზე მომხდარიყო ადგილობრივ დამსაქმებელთა საჭიროებები განსაზღვრა. ამასთან, პროგრამის ძირითადი მახასიათებლების დადგენის მიზნით გამოყენებულია დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტი და პროგრამა შეფასებულია გარე შემფასებლის მიერ. მიუხეადავად იმისა, რომ პროგრამამ გარკვეული ტიპის მონიტორინგი და შეფასება გაიარა სხვადასხვა დონეზე, მასში ფიქსირდება რიგი შეუსაბამობები მიზნების, სწავლის შედეგების ფორმულირებისა და შინაარსის მიმართულებით. ასევე, გასაუმჯობესებელ მხარედ გამოიკვეთა სასწავლო კურსების შინაარსი, სწავლების მეთოდოლოგია და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. ინტერვიუს პროცესში, პროგრამის თანახელმძღვანელმა თავადაც დაადასტურა, რომ პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი, მათი სწავლების და შეფასების მეთოდები და სასწავლო ლიტერატურა გადასახედია. აკადემიური და მოწვეული პერსონალი კი მათ მიერ შემუშავებულ სასწავლო კურსებთან მიმართებით აცხადებდნენ, რომ სილაბუსებში არსებული შეუსაბამობები (მაგ., სწავლის შედეგები 5 კომპეტენციაზეა გაწერილი ზოგიერთ სილაბუსში) ტექნიკურ ხარვეზებს წარმოადგენს, რადგან ექსპერტებს მათი ვარაუდით მიეწოდათ სასწავლო კურსების ძველი ვერსია. გამომდინარე იქიდან, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით გათვალისწინებულია პროგრამის აკრედიტაციის პროცესების გამართულობის უზრუნველყოფა შიდასაუნივერსიტეტო დონეზე, მიგვაჩნია, რომ ხარისხის სამსახურმა უნდა გააძლიეროს მონიტორინგის სისტემა, რათა უზრუნველყოს სხვადასხვა სააკრედიტაციო პროცესის მართვასთან ერთად თვითშეფასების ანგარიშისა და საგანმანათლებლო პროგრამის დანართი დოკუმენტების შეფასება და გამართულობა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის ანალოგ პროგრამებთან შედარება, რაშიც მოვიაზრებთ პროგრამის ხელმძღვანელის/თანახმელძღვანელის მიერ 2-3 საზღვარგარეთის უნივერსიტეტის ანალოგი პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კურიკულუმის და სწავლებისა და შეფასების მეთოდების სიღრმისეული ანალიზს და დადარებას სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამასთან, არ მომხდარა. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლამდელი განათლების დარგი შედარებით ახალია ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცისთვის, ვფიქრობთ, საუკეთესო გამოცდილებისა და განვითარების მაგალითების გაზიარების მიზნით, პროგრამას და მის განმახორციელებელ გუნდს

წაადგებოდა უცხოური ანალოგი პროგრამების სიღრმისეული შესწავლა. აღნიშნული საუნივერსიტეტო რეგულაციის (ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები) საფუძველზე, წარმოადგენს პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში პროგრამის ხელმძღვანელის ვალდებულებასაც. რეკომენდებულად მიგვაჩნია, „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ საუნივერსიტეტო რეგულაციის მოთხოვნების შესაბამისად, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდეს უცხოური ანალოგი პროგრამების შესწავლა და დადარება წარმოდგენილ საბაკალავრო პროგრამასთან.

როგორც აღვნიშნეთ, წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა ახალია. შესაბამისად, გასაუბრება მოხდა მომიჯნავე პროგრამის (დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული, 300-კრედიტიანი პროგრამა) სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ინტეგრირებული პროგრამის კურსდამთავრებულებს არ ქონიათ შესაძლებლობა სწავლის დასრულების შემდგომ სამუშაო ადგილზე (ამ შემთხვევაში, სკოლაში) მიღებული გამოცდილება გაეზიარებინათ პროგრამის ხელმძღვანელისთვის, ხარისხიდან არ მისვლიათ კურსდამთავრებულთა გამოკითხვის კითხვარი, არც პროგრამის სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მიუღიათ მონაწილეობა (ამ უკანასკნელში ჩართულობას არც სტუდენტები ადასტურებენ). კურსდამთავრებულების თქმით, მათი ჩართვა და გამოცდილების გაზიარება არ ხდება საგანმანათლებლო პროგრამაში. აღსანიშნავია, რომ დამსაქმებლები, რომლებიც წარმოდგენილნი იყვნენ გასაუბრებაზე არ იცნობდნენ საგანმანათლებლო პროგრამას. პროგრამის მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია ჰქონდა მხოლოდ ერთ დამსაქმებელს, რომელიც თვითშეფასების ჯგუფის მუშაობაში იღებდა მონაწილეობას. რეკომენდებულად მიგვაჩნია, გაიზარდოს კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში, რაც შესაძლებელია განხორციელდეს როგორც სისტემური და სისტემატიური კვლევებით, ისე მათი პროგრამის სამუშაო ჯგუფში ჩართულობით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის უნივერსიტეტის მიერ ბოლო წლებში გადადგმული ნაბიჯები პოზიტიურადაა შეფასებული, განსაკუთრებით კი გამოყოფენ მათ მიერ დაფიქსირებულ გასაუმჯობესებელ მხარეებზე დაწესებულების სწრაფ რეაგირებას. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის, ამ მიმართულებით თვალსაჩინოა სასწავლო გარემოს, მატერიალური ბაზის, სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება, სასადილოში გადახდის ფორმის ცვლილება და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ საუნივერსიტეტო რეგულაციის მოთხოვნების შესაბამისად, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდეს უცხოური ანალოგი პროგრამების შესწავლა და დადარება წარმოდგენილ საბაკალავრო პროგრამასთან.
- რეკომენდებულია, გაიზარდოს კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში, რაც შესაძლებელია განხორციელდეს როგორც სისტემური და სისტემატიური კვლევებით, ისე მათი პროგრამის სამუშაო ჯგუფში ჩართულობით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააძლიეროს შიდასაუნივერსიტეტო სააკრედიტაციო პროცესების მონიტორინგის სისტემა, რათა უზრუნველყოს სხვადასხვა დონეზე სააკრედიტაციო პროცესის მართვასთან ერთად თვითშეფასების ანგარიშისა და საგანმანათლებლო პროგრამის დანართი დოკუმენტების გამართულობა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / **სტანდარტები**	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	☒	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☐	☒	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☐	☒	☐	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☐	☒	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☐	☒	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ქეთევან აფთარაშვილი, ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

ხათუნა დოლიძე, ხელმოწერა



ნინო ჯიჯავაძე, ხელმოწერა



ქრისტინე ჩიხლაძე, ხელმოწერა

ანა ჭრელაშვილი, ხელმოწერა